საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 2013 წელი.

№229 (7357)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სააკაშვილის „უგუნური სითამამე“ და „პოლიტიკური სიგიჟე“,

3

ანუ დამამშვიდებელი აბები „ჩვენი ძაღლიშვილისთვის“

ჯიბეს ისქელებენ... ბავშვის განავლით

6

ახლო აღმოსავლეთი – მშფოთვარე რეგიონი

5

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

4

ევროპის მოტაცება

8

წიაღში ჩამალული ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გასაღები

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტს ყველა მედიასაშუალებასთან ღია და გამჭვირვალე ურთიერთობა ექნება

ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის კონსულტანტმა სტრატეგიული კომუნიკაციისა და პრესასთან ურთიერთობის საკითხებში შალვა რამიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ადმინისტრაციის რესტრუქტურიზაციის შემდეგ ყველა ნახავს, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის ურთიერთობა მედიასთან იქნება განსაკუთრებული, ღია და გამჭვირვალე. მისივე განმარტებით, პრეზიდენტისა და მედიის ურთიერთობის ფორმატი შემუშავების რეჟიმშია და შესაძლოა, დიდი პრესკონფერენციების სიხშირე ისეთი არ იყოს, როგორც პრემიერ-მინისტრს ექნება, თუმცა, გიორგი მარგველაშვილი მედიასთან შეხვედრებს, პრესკონფერენციებს და ინტერვიუებს გამართავს.

რაც შეეხება შეკითხვას, ვინ იქნება პრეზიდენტის პრესსპიკერი, შალვა რამიშვილის განცხადებით, ადმინისტრაციის ფორმირების დასრულების შემდეგ საზოგადოება ყველაფერს შეიტყობს. მისივე ინფორმაციით, ადმინისტრაციის ფორმირება სავარაუდოდ, 20 დეკემბრამდე დასრულდება.

მისივე თქმით, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში თანამშრომლების ნაწილი კვლავაც განაგრძობს მუშაობას, ხოლო მათ, ვისაც არ ესახებოდა ახალ პრეზიდენტთან მუშაობა, დაწერეს განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე. ასევე, შალვა რამიშვილის ინფორმაციით, მიმდინარეობს პრეზიდენტის საიტის რეკონსტრუქცია და მოგვიანებით არქივის განყოფილებაში მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცემული ყველა დოკუმენტი განთავსდება.

ადმინისტრაციის კონსულტანტმა სტრატეგიული კომუნიკაციისა და პრესასთან ურთიერთობის საკითხებში შეწყალების კომისიის ახალი შემადგენლობის შესახებაც გააკეთა კომენტარი. მისი თქმით, კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნით საქართველოს პრეზიდენტმა ნათლად თქვა, თუ როგორი იქნება აღნიშნული კომისიის მუშაობის პრაქტიკა. რამიშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლების დროს არაჯანსაღ პრაქტიკას ჰქონდა ადგილი. ძალიან ბევრ ადამიანს, მათ შორის, ახლახან გასამართლებულ, ძებნაში მყოფ და მძიმე ბრალდებების მქონე პირებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ერთი ხელის მოსმით, კომისიის გარეშე, იწყალებდა, რაზეც შალვა რამიშვილის განცხადებით, კომისიის რამდენიმე წევრს ხანდახან ჰქონდა მოკრძალებული პროტესტი. შალვა რამიშვილმა ლაშა ბუღაძეს მადლობა გადაუხადა. მანვე, მადლობა გადაუხადა მეუფე თეოდორეს, გივი შახნაზარსა და სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს, რომლებიც შეწყალების კომისიის შემადგენლობაში დარჩნენ. შალვა რამიშვილის განცხადებით, პოლიტიკური ყაიდების შეწყალებების ტაქტიკა, რა თქმა უნდა, არ იქნება.

◎ მინისტრი

საკუთარი პოზიცია - რუსეთის პროვოკაციების წინაალმდეგ

თუ რუსეთის მხრიდან პროვოკაციები გაგრძელდება, საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს საკუთარი პოზიცია, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს სტრატეგია, მათ შორის ეკონომიკური მიმართულებით.

— უკრაინის მაგალითს რაც შეეხება, მე ფრთხილი ვიქნებოდი შეფასებებში, რადგან ყოველდღიურად ახალ-ახალი ინფორმაცია მოდის ამის თაობაზე. დღესაც იყო უკრაინის პრეზიდენტის ახალი განცხადება, ამას უფრო ღრმა ანალიზი ჭირდება, თუ რა გახდა უკრაინისთვის თავშეკავების მიზეზი. რაც შეეხება საქართველოს, იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის 20% არის ოკუპირებული და საქართველოს ორი რეგიონი არის გამოცხადებული რუსეთის მხრიდან როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ამ წნეხის გაზრდის სივრცე შეიძლება ითქვას, რომ აღარ არსებობს. 2013 წლის იანვრიდან რუსეთი სხვადასხვა სიხშირით და ინტენსიურობით ახდენს მავთულხლართებისა და სხვადასხვა სახის ბარიერების აღმართვას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, ჩვენ ეს პროცესი, რომელიც 2011 წლიდან დაიწყო, ძალიან გვაშფოთებს და ვცდილობთ საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზებას ამ უკანონობის აღსაკვეთად. შეიძლება ეს პროცესი გაგრძელდეს, იგი ამ დღეებშიც მიმდინარეობს, თუმცა, ჩვენი პასუხი რუსეთის ხელისუფლების არალეგალურ ქმედებებზე ყოველთვის იქნება თავშეკავებული, ჩვენ არ წამოვეგებით პროვოკაციას და არ გამოვიწვევთ სიტუაციის ესკალაციას. ჩვენ ველოდებით გარკვეული მიმართულებების განვითარებას, ისევე როგორც ეს ხდებოდა გასული თვეების განმავლობაში, მაგრამ გვაქვს შემუშავებული ჩვენი პოზიცია, როგორ მოვიქცევით იმ შემთხვევაში, თუკი ეს პროცესი გაგრძელდება და მიიღებს უფრო ინტენსიურ ხასიათს, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება ეკონომიკურ დამოკიდებულებას, მაია ფანჯიკიძის თქმით, თუკი საქართველო დაბრუნდება ისეთ პოზიციაში, როგორიც იყო აბაშიძე-კარასინის შეხვედრების დაწყებამდე, ეს საქართველოსთვის დიდი დარტყმა არ იქნება.

◎ სამიტის წინ

საზეიმო ცერემონიალი ვილნიუსში

29 ნოემბერს ვილნიუსში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, პოლიტიკური ნაწილის პარაფირებას ის და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთოების საკითხებში ქეთრინ ეშტონი განახორციელებენ.

29-ში გაიმართება პარაფირების საზეიმო ცერემონიალი, რომელზედაც ევროსაბჭოს პრეზიდენტის და ევროკომისიის პრეზიდენტის, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის თანდასწრებით, პოლიტიკური ნაწილის პარაფირებას მოვახდენთ ქეთრინ ეშტონი და მე. აქვე მოეწერება ხელი მეორე შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს ჩართვას. ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ნაწილის საზეიმო პარაფირება მოხდება ეკონომიკის მინისტრის და ევროკომისრის კარელ დე გუხტის მიერ, - განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, გიორგი მარგველაშვილი ვილნიუსის სამიტის ფარგლებში რამდენიმე შეხვედრას გამართავს სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან. გაიმართება კიდევ რამდენიმე ფორუმი.

მისივე თქმით, ქართული დელეგაცია, მისი მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე, ლიტვაში სპეციალური რეისით გაემგზავრება.

◎ თანადგომა

სახელმწიფო ყველა აღებულ ვალდებულებას შეასრულებს

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ჯარისკაცებს ჰპირდება, რომ სახელმწიფო ყველა აღებულ ვალდებულებას შეასრულებს. ამის შესახებ ირაკლი ალასანიამ სამხედრო ქალაქში პრემიერ-მინისტრთან ერთად ჯარისკაცებისთვის ბინების გადაცემის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

— მინდა დავპირდე ჩვენს ჯარისკაცებს, ეს სამუშაოები გაგრძელდება და ვალდებულებები, რაც აღებული აქვს სახელმწიფოს ჩვენი გმირი ვაჟკაცების, სამხედროების მიმართ, იქნება შესრულებული, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ექს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს და აღნიშნა, რომ სწორედ მისი დამსახურებაა, რომელმაც თავიდანვე მობილიზება გაუკეთა სამთავრობო სახსრებს, რათა ეს მშენებლობა დასრულებულიყო. თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ გაგრძელდება უზრუნველყოფა ყველა სამხედრო მოსამსახურის, რათა მათ შეძლონ საკუთარი ამოცანის ღირსეულად შესრულება. ამასთან, ალასანიამ მადლობა გადაუხადა მთავრობას და იმ ადამიანებს, რომლებმაც შრომა ჩადეს და ამ კორპუსების მშენებლობა დაასრულეს.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ერთი რამე ვერ გამიგია, ამასწინებზე ვიღაც უცხო პირებმა ხანჯლით ჩაიდინეს დანაშაული და დღეს პარლამენტი მსჯელობს ჩოხის ატრიბუტიკიდან ხანჯლის ამოღებაზე....

ისმის კითხვა — იმ შემთხვევაში თუ დანაშაული დამთავრდებოდა გაუპატიურებით, რაზე იმსჯელებდა ჩვენს მიერ არჩეული პარლამენტი და რა ქმედით ღონისძიებებს მიიღებდა? ისე, უკაცრავად და, თქვენ ხომ არ გარეკეეთ?

დროულად არის საშველი ეს პარლამენტი, ვაი თქვენს პატრონს.....

● მნიშვნელობა არ აქვს სახურავს „აქანე იქანე“ გადაგიხურავს თუ „ვახ ჩემი, ჩემი კაი ტო“ — მთავარია არ ჟონავდეს.

(ხალხური)

● ადრე შეხვედრისას თავიდან ქუდს იხდიდნენ პატივისცემის ნიშნადო, და ახლა „ნაუშნიკს“ იძრობენო.

● მე ხელისუფალში ყოველთვის ხელკეტს ვხედავ, რომელიც თუ არ გცემს, ბოლი ასდის — გაბოლებს, ტკბილად ჭიკ-ჭიკებს — თავს გაყვარებს, მაგრამ მაინც ხელკეტია რა. არ მესმის, ხელკეტის სიყვარული რას ნიშნავს? ან მადლიერი რატომ უნდა იყო, რახან არ გახტება საცემრად?

სიყვარულით და ზღვარსგადასული მადლობებით ხდება მისი პროვოცირება! ეს ფლავიუსის არაა, ჩემი გენიალური ნააზრევია.

ხელისუფალთა სიყვარული, ანუ ხელკეტოფილია, იწვევს დაავადება — კრეტინიზმს!

● ძუძუსთავი გამოუჩნდაო, გადაირია ხალხი...

აბა, რას ელოდით, რისი თავი გამოუჩნდებოდა?

გამოუჩნდა და გამოუჩნდა, ძალიანაც კარგი, ვინმეს რამე დაგიშავათ?

ყველამ თავის თავს რომ მიხედოს, იქნებ უკეთესი იყოს!

კარგი, წავედი, თავს მივხედავ...

● ისინი ფლობენ ჭეშმარიტებას, მხოლოდ მათ აქვთ უნარი, ხელიდან წასულ გარეწარში ამოიცნონ პროგრესული მამულიშვილი, მათთვის საქართველოს ევროინტეგრაციაა ჭეშმარიტება, ანუ იეღოვა, მაგრამ იეღოვას მოწმეებისაგან განსხვავებით, სიყვარულით კი არა, ცემით და წამებით მივყავდით სინათლისაკენ, ჩვენ, განუვითარებელი, უნიჭო რუსეთის მონები!

მე მონა ვარ და სექტანტი ნაცმაცუნები, კგბ-შნიკი მიხოს თაყვანისმცემლები, თავისუფალი, ნიჭიერი, მოაზროვნეები ხართ? აღრფთოვანებას იწვევს ჩემში თქვენი ამბიციები, თქვენი შემყურე ვრწმუნდები, რომ იდიოტიზმს საზღვარი არ აქვს! — რუსეთის უნიჭო მონის აზრები.

● „მესტნებს“ მოგვხედოს და თუ უნდა ელარჯი დაუგია ასფალტის მაგივრად.

● გამოვდივარ ინიციატივით, სასწრაფოდ აიკრძალოს სმოკინგზე მახათის ტარება!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძე

◎ ნარინჯისფერი „რთველი“

გადამზიდავმა გემმა ციტრუსეებს დროზე ჩამოუსწრო

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის ზაურ ფუტკარაძის ინფორმაციით, ბათუმის პორტში გემი შემოვიდა, რომელიც ნოვოროსიისკის პორტის გავლით ციტრუსს რუსეთის მიმართულებით გადაზიდავს. ეს სწორედ რომ დროული ნაბიჯია, თორემ ნარინჯისფერი მოსავლის რეალიზაციას თანდათან პრობლემა ექმნებოდა.

წლეულს აჭარაში 110 ათას ტონა ციტრუსს ელოდებიან, გურიაში კი - 15 ათას ტონას. ეს მაჩვენებელი შარშანდელს მნიშვნელოვნად აღემატება. ჭარბი მოსავლის პირობებში, როგორც წესი, ფასი ეცემა ხოლმე, მაგრამ რუსეთის ბაზრის გახსნამ ხალხს იმედი ჩაუსახა, რომ მათი შრომა ფუჭად არ ჩაივლიდა. თუმცა, პროცესი გაიწელა. ქართული პროდუქცია ჩრდილოეთში ჯერ კიდევ 10 ნოემბრიდან უნდა შესულიყო, მაგრამ „როსსელხოზნადზორის“ წარმომადგენლების ვიზიტს საკითხის გადადება მოჰყვა. ამასობაში მოსავლის დიდი ნაწილი პირველ ეტაპზე, ძირითადად, ადგილობრივი ბაზრისა და უკრაინის იმედზე დარჩა. ეს ფასზეც აისახა. ამჟამად ციტრუსი საკმაოდ იაფი ღირს, არადა აჭარლები და გურულები წლევანდელი უხვი მოსავლით ხელის მოთბობას აპირებდნენ.

„ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში 30-მდე პავილიონი მუშაობს, სადაც დღის განმავლობაში სამი სახის 300 000 ყუთი მზადდება. ექსპორტი წელს უკრაინაში, რუსეთში, უზბეკეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსსა და ყაზახეთში ხორციელდება. ერთი ტონა ტვირთის გადატანა ბათუმი-ნოვოროსიისკის პორტის მიმართულებით 70 დოლარი, ხოლო ნოვოროსიისკში ტვირთის ექსპედირება-განბაჟება 275 დოლარი იქნება“, — აღნიშნა ზაურ ფუტკარაძემ, რომელმაც დასძინა, რომ ციტრუსი ევროპული სტანდარტებით შეიფუთება.

მისივე განმარტებით, აჭარის მთავრობის ინიციატივით ბათუმის სავაჭრო პალატაში შექმნილია სპეციალური საინფორმაციო ცენტრი, სადაც ერთი ფანჯრის პრინციპით გაიცემა ტვირთის ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტაცია.

წლეულს თავიდან ბოლომდე ყურადღება აჭარისკენაა მიპყრობილი. მართალია, გურიაშიაც უხვი მოსავალია, მაგრამ რაოდენობრივად აჭარული ციტრუსი გაცილებით მეტია. თანაც გურიაში მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთ ძირითად ექსპორტიორად ციტრუსისთვის დარჩება უკრაინის ბაზარიც, სადაც ქართული პროდუქტის მიმართ მოთხოვნა ყოველთვის დიდია. ასე რომ, გურულები თავის პროდუქციას როგორმე დააბინავებენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ომარ ჩხარტიშვილი ვარაუდობს, რომ გურიის რეგიონში მინიმუმ 10-12 ათასი ტონა ციტრუსის მიღებას შეძლებენ.

„შარშან ჩვენი ციტრუსის დიდი ნაწილი უკრაინაში გაიგზავნა, ნაწილი კი აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდოვის ბაზრებზე. დიდი იმედით ველოდებით რუსული ბაზრის გახსნას, მაგრამ ეს არ იქნება ერთადერთი და პარალელურად სხვა ბაზრებზეც ვიმუშავებთ. გურიაში, ჯერჯერობით, არ არის გადამმუშავებელი საწარმოები, თუმცა შენახვის პრობლემა არ გვექნება“, — ამბობს ომარ ჩხარტიშვილი.

როგორც აჭარასა და გურიაში ამბობენ, ახალ წლამდე მოსავლის დიდი ნაწილი უკვე რეალიზებული უნდა იყოს. იმის მიუხედავად, რომ პროდუქციის შემნახველი პუნქტები უკვე მოქმედებენ და ნაყოფის დაბინავების პრობლემაც აღარ არის, მანდარინსა და ფორთოხალს დროული გასაღება სჭირდება.

გიორგი ბეძაური

დაიწყო „აღიარებები?“



საკაშვილის „უგუნური სითამამე“ და „პოლიტიკური სიგიჟე“,

ანუ დამამშვიდებელი აბები „ჩვენი ძაღლიშვილისთვის“

„საკაკაშვილის დიდი შეცდომა მოუთმენლობა იყო. მას სურდა, ქვეყნისთვის საკუთარი ნიშანი დაედო. ამიტომ აშენებდა პროექტებს, რომლებსაც ეკონომიკური დანიშნულება არ ჰქონდა, თუმცა, ქვეყანას დიდძალი ფული უჯდებოდა. დიდი შეცდომა იყო მისი მოუთმენლობა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებით“, – ასე აფასებს აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი „ვარდების რევოლუციის“ პერიოდს, 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან აცილების შესაძლებლობებს და 10-წლიანი მმართველობის შემდეგ რევოლუციური მთავრობის მარცხს.

ამერიკელი დიპლომატების ასეთ და უფრო მკვეთრ შეფასებებს ქართული საზოგადოება კარგა ხანია, ელოდა. ელოდა ნულოვანი ტოლერანტობის გაცხადებისას, ქართველი ახალგაზრდების ქუჩაში ჩახოცვისას, 2007 წლის ნოემბრის თუ 2011 წლის მაისის მოვლენებისას, მაგრამ ამერიკულმა შეფასებებმა დაიგვიანა. სამაგიეროდ, გვახსოვს ზედმეტად გაწონასწორებული შეფასებები, რომ ამერიკა მხარეთა კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს მიესალმება, რომ იმედოვნებს, ყველაფერი დამშვიდდება და ა.შ. როგორც ჩანს, დასავლეთიც მიხვდა, რომ მოვლენების შელამაზებულად წარმოჩენამ აზრი დაკარგა. ასე რომ, გამორიცხული არ არის, რიჩარდ მაილსის მკვეთრ პოზიციას ამერიკელ ჩინოსანთა სხვა გულახდილობაც მოჰყვეს.

აშშ-ის ყოფილი ელჩის მოსაზრებით, საქართველოს შეეძლო, თავიდან აეცილებინა 2008 წლის აგვისტოს ომიც, რომ არა სააკაშვილის უგუნური სითამამე. ყოფილი ელჩისთვის გაუგებარია, ეს ადამიანი, ანუ სააკაშვილი რას ფიქრობდა. მიუხედავად პროვოკაციების დონისა, რომელიც რუსული მხრიდან მოდიოდა, **ამ კონფლიქტში ისე შესვლა, როგორც სააკაშვილმა გააკეთა, რიჩარდ მაილსის აზრით, პოლიტიკური სიგიჟე იყო.**

„ალბათ, იფიქრა, რომ წარმატების მიღწევის შანსი ჰქონდა ან აშშ სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, არ გააკეთებდა. ის მთლად შეშლილი არ არის და ამაზე უნდა ეფიქრა. მის მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი ადამიანი გადადგებოდა და ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავდა. რა მიზეზით დარჩა თანამდებობაზე, არ ვიცი, ეს არ არის ნორმალური“, – ამბობს რიჩარდ მაილსი.

ამერიკელი დიპლომატის გულახდილი პოზიციის შესახებ For.ge პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა.

– იმ ფონზე, როცა დასავლელ პოლიტიკოსთა ნაწილი სააკაშვილს ლექციების ჩატარებას სთავაზობს დემოკრატიისა და ადამიანის ღირებულებების შესახებ, უკვე ვისმენთ მკვეთრ შეფასებებს სააკაშვილის მთავარი შეცდომების ირგვლივ. ღიად სახელდება, რომ სააკაშვილის მთავარი შეცდომა მისი მოუთმენლობა იყო, რომ ყოფილ პრეზიდენტს შეეძლო აგვისტოს ომის თავიდან აცილება. რას უნდა უკავშირდებოდეს დასავლელ პოლიტიკოსთა ორაზროვანი შეფასებები? იმას ხომ არა, რომ სააკაშვილი უკვე აღარ არის ხელისუფლებაში და ღიად შეიძლება აქამდე აკრძალულ თემებზე საუბარი? ხომ არ ფიქრობთ, რომ დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან რიჩარდ მაილსის მსგავსი შეფასებები კიდევ გაგრძელდება და კიდევ ახალ-ახალ აღიარებებს მოვისმენთ სააკაშვილის პერსონის შესახებ, რომელიც მთლად შეუცვლელი და უნაკლო არ ყოფილა?

– კარგი იქნებოდა, მაილსს ეს შეფასებები დღეს კი არა, დავუშვათ, თუნდაც, 2007 წელს გაეკეთებინა. 2007 წელს ზუსტად ასეთი თუ არა, მიახლოებითი განცხადება რომ ყოფილიყო გაკეთებული, მაშინ არ იქნებოდა 2008 წელი, არც პირდაპირი, არც გადატანითი მნიშვნელობით. არ იქნებოდა ის კატასტროფა და ტრაგედია, რაც მოხდა აგვისტოს თვეში. ლაპარაკი იმაზე, რომ სააკაშვილს თურმე ეგონა, რომ ამერიკა დაეხმარებოდა, ალბათ, ყოველგვარ ფარგლებს სცდება, რადგან ნებისმიერმა ნორმალურმა, საშუალოდ მოაზროვნე ადამიანმა, ვინც მეტ-ნაკლებად ჩახედულია პოლიტიკაში, იცის, რომ ასეთ სიტუაციაში დასავლეთი არ გადადგამდა მკვეთრ ნაბიჯებს. აღარაფერს ვამბობ იმ ადამიანებზე, ვინც მსოფლიოს ბოლო ომის შემდგომ პერიოდში თვალს ადევნებდა ამ პროცესების და დაპირისპირებების განვითარებას და ასეთივე სიტუაციები ახსოვდა უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხეთში და ა.შ. ამიტომ, ძალიან ადვილი გასათვლელი იყო, რომ დასავლეთისგან სააკაშვილი მხარდაჭერას ვერ მიიღებდა. ამას ვლაპარაკობ იმდენად, რამდენადაც დღეს უკვე ეს არის უკან მიდევნებული ლამპარი. ჩვენ უკვე გადავიჩეხეთ, ქვეყანამ, მინიმუმ, ხუთი წელი დაკარგა, ვგულისხმობ 2008-დან დღემდე პერიოდს და დაკარგა არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ მთლიანად, როგორც ეკონომიკური, ისე საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. ამიტომ, არა მარტო მაილსი მყავს მხედველობაში, არამედ, ზოგადად. თუ დასავლეთი ფიქრობს, რომ მართლაც უნდა დაეხმაროს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს, უნდა იყოს, გარკვეულწილად, საკმაოდ კატეგორიული, მომთხოვნი და პრინციპული, რადგან მე და თქვენ და იმ ადამიანებს, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გვახსოვს, რომ სააკაშვილის და მისი ნაციონალური გუნდის არგუმენტი დღემდე იყო ის, რომ დასავლეთს, თურმე, როგორ მოსწონდა ის რეფორმები, როგორ აღმერთებდნენ, როგორ ხვდებოდნენ სააკაშვილს. ასე რომ, ჩვენ გვაშინებდა არა მარტო მერაბიშვილი, თავისი სპეცრაზმით, არამედ, ასევე, გვაშინებდა ამერიკა, რომელიც მერაბიშვილის სპეცრაზმის მოქმედებას მხარს უჭერდა. ასეთი შედეგი მივიღეთ კიდეც 2011 წლის 26 მაისს, ეს არის მთავარი პრობლემა და არა – მაილსის ზოგადი შეფასებები. რა თქმა უნდა, სწორია მაილსის შეფასება და დარწმუნებული ვარ, ყველა ის ადამიანი, ვინც გუშინ თუ გუშინწინ სააკაშვილს აქებდა და ლამის დემოკრატიის შუქურად მიიჩნევდა, ნელ-ნელა დაიწყებს სწორი პოზიციის ადეკვატურ აღქმას საქართველოში შექმნილი იმ პრობლემების შესახებ, რაც სააკაშვილმა მოიტანა, მაგრამ დღეს ეს მათ ხელს აძლევთ. ეს არის პოლიტიკა, რადგან სააკაშვილი უკვე აღარ არის მოქმედი პრეზიდენტი და თანდათანობით დაიწყება მისი კრიტიკა.

რიჩარდ მაილსი

– მართალია, არსებობს მეორე ფრთა, რომელიც მას სთავაზობს ლექციების წაკითხვას, მაგრამ ფაქტია, რომ შესაძლოა, სააკაშვილს გამუდმებულ რეჟიმში ლექციების წაკითხვა არც მოუწიოს, შესაძლოა, ლექციის წამკითხველის ამპლუაში სააკაშვილი მოყირჭდეთ. ფიქრობთ, რომ ძალზე ხანგრძლივვადიანი იქნება სააკაშვილის, როგორც მენტორის, ლექციების კურსი დემოკრატიის სწავლების საქმეში?

– რა თქმა უნდა, არა. ეს მეორე ფრთა, რომელიც მას ლექციების წაკითხვას სთავაზობს, სინამდვილეში, მას სთავაზობს დამამშვიდებელ აბებს. როცა სააკაშვილი უყველაფროდ დარჩა, დასავლეთი შეეცადა, მისთვის რაღაც ასპარეზი შეექმნა, მაგრამ ეს ტალღა უნდა გადაგორდეს. დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც ყოფილმა ელჩმა საქართველოში, რიჩარდ მაილსმა, ასევე, ლექციების წაკითხვის შემთავაზებელმა ფრთამაც, მშვენივრად იცის, რომ სააკაშვილი ნელ-ნელა უნდა მიეცეს დავიწყებას. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის დამამშვიდებელი აბები ყოფილი პრეზიდენტისთვის, რომელიც შეიძლება, ორი-სამი-ოთხი თვის განმავლობაში, მაქსიმუმ, ერთი წელი გაგრძელდეს. შესაძლოა, აქ საუბარი არ იყოს მაინცდამაინც ლექციების წაკითხვაზე, არამედ სააკაშვილს სადღაც მიიწვევენ და შეუნარჩუნებენ იმიჯს.

მანდ არის მეორე პრობლემაც. როგორც ვხედავთ, სააკაშვილს დასავლეთი უკვე აღარ განიხილავს იმ რანგში, რაშიც სააკაშვილს თავად წარმოუდგენია მომავალი. ვგულისხმობ პოლიტიკურ რანგში. ამიტომ ცდილობენ, ამ დამამშვიდებელი აბებით გაიყვანონ პოლიტიკური ასპარეზიდან, რათა „ნაციონალურ მოძრაობას“, უკვე სააკაშვილის გარეშე რაღაც პერსპექტივა გაუჩნდეს. ისინი მშვენივრად ხედავენ და იციან, რომ სააკაშვილთან ერთად „ნაციონალურ მოძრაობას“ პერსპექტივა არ ექნება. როგორც ვხედავ, დაახლოებით ამ სცენარით მიდის თამაში. ამასთან, ჩვეულებრივი ამბავია, რომ მაილსი გამოვიდა და ის კატეგორიული იყო. ამით მაილსი ჩვენ გვამშვიდებს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის შესახებ ამდენი წელია, ვყვირით. ამდენად, დასავლეთის ერთი ფრთა ჩვენ გვამშვიდებს, ხოლო მეორე ფრთა – სააკაშვილს ჰიპერბოლურად შეიძლება ასე ვთქვათ, რადგან მოსახლეობას გაუჩნდა უარყოფითი მუხტი ამერიკის მიმართ, რადგან იქაურნი მხარს უჭერენ სააკაშვილს და მის ნამოქმედარს, ამიტომ უკვე გახსნილია მაილსი. ხვალ კიდევ ვინმე გამოვა და იტყვის, რომ სააკაშვილს რაღაცები შეშლია და ეს ტალღა უფრო და უფრო გაძლიერდება.

– შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი ამერიკასაც უკვე აღარ სჭირდება? მართალია, თითქოს ეპატიჟებიან, მაგრამ მაინცდამაინც თვითონვე არ არიან დარწმუნებულნი, რომ ის დემოკრატიის შუქურა იყო. ასევე, თქვენ ახსენეთ, რომ მაქსიმუმ, ერთწლიანი ციკლით გაგრძელდება სააკაშვილის მიერ ლექციების წაკითხვა. ერთი წლის შემდეგ სად გესახებათ მისი მომავალი? ალბათ, საყვარელ არქიტექტურას არ მიუძღვნის საკუთარ თავს?

– ამერიკული წრეების მხრიდან დღემდე არ ყოფილა სააკაშვილის ასეთი მძაფრი კრიტიკა, როგორც ეს მაილსის შემთხვევაში მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ მე არ მახსენდება. თვით 2007 წელსაც არ ყოფილა ასეთი მკვეთრი პოზიცია გამოხატული მისი და მისი ხელისუფლების მიმართ. ამიტომ, ბუნებრივია, მათ სურთ სააკაშვილის გაყვანა პოლიტიკური არენიდან. მათ კარგად იციან, რომ ნელ-ნელა ყველაფერი დავიწყებას მიეცემა, ამიტომ ხელს უწყობენ, რომ ეს პროცესი წავიდეს. რაც შეეხება სააკაშვილის ამბიციურობას, თუ მან კიდევ რაღაცები მოინდომა, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, დასავლეთი მას იმავეს ეტყვის, რაც, ალბათ, უთხრეს 2012 წლის 1 ოქტომბერს, როცა გამოვიდა და არჩევნების შედეგები აღიარა. მას ეტყვიან, რომ ის მარტო დარჩება იმ თავის პრობლემებთან, რა პრობლემებიც მან შექმნა საქართველოში. ამიტომ, არა მგონია, სააკაშვილს ძალიან დიდი არჩევანი ჰქონდეს. უბრალოდ, პროცესი მიმდინარეობს ნელა და მშვიდად. თუ დასავლეთის მხრიდან არც კულულარული და არც ღია მხარდაჭერა აღარ ექნება სააკაშვილს, არ გამოვრიცხავ, ის აღმოჩნდეს მერაბიშვილის გვერდით. სააკაშვილს ასეთი პერსპექტივა აქვს. დღეს შეიძლება, ამ პერსპექტივის შესახებ მას მკაფიოდ არ ეუბნებიან, მაგრამ ერთ წელიწადში მას ამას ეტყვიან, თუკი ისევ მოინდომებს პოლიტიკაში რაღაც სისულეების კეთებას.

– რიჩარდ მაილსის ამგვარი „აღიარებები“ ხომ არ არის იმის საფუძველი, რომ დასავლეთი რაღაცნაირად ინაწილებს პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ მას თავის დროზე არ ურჩია გადამდგარიყო? კერძოდ, მაილსმა აღნიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ არ უნდა დარჩენილიყო სააკაშვილი თანამდებობაზე და ეს ღირსეული საქციელი იქნებოდა. მაშინ, საკითხავია, რატომ არ ურჩია დასავლეთმა თავის ფავორიტ სააკაშვილს, რომ სწორედ ამ გზას დადგომოდა და რატომ კეთდება ეს განცხადება ახლა? ხომ არ იმალება მაილსის ამ განცხადებაში მონანიების ერთგვარი სტიმული?

– მონანიების რა მოგახსენოთ, მაგრამ ვთვლი, რომ ესეც ამერიკული პოლიტიკის ნაწილია და მიმართულია ქართული საზოგადოების იმ უდიდესი ნაწილისკენ, რომელიც დასავლეთისადმი ნეგატიურადაა განწყობილი, რადგან დასავლეთი მხარს უჭერდა სააკაშვილს. ანუ ეს მიმართულია ჩვენს დასამშვიდებლად. მეორეც, არ ვარ დარწმუნებული, რომ თავის დროზე, სააკაშვილს გადადგომა არ ურჩიეს. თუმცა მას, ალბათ, ჰქონდა, კონტრარგუმენტი, რომ, მან 2008 წელს არჩევნები მოიგო და, კიდევ ერთი, ის დაარწმუნებდა დასავლეთს, რომ მის გადადგომას აზრი არ ჰქონდა. ეს არგუმენტი სააკაშვილს შეიძლება გამოეყენებინა. რაც შეეხება, რომ დასავლეთი ისევ დაიწყებს თუ არა სააკაშვილზე ზრუნვას, მგონია, რომ არ დაიწყებს. მე მგონი, სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა დასრულდა. ამას ხედავს ყველა, შეიძლება ვერ ხედავდეს მხოლოდ ერთი კაცი და ამ კაცს ჰქვია მიხეილ სააკაშვილი.

– თვითონ მიხეილ სააკაშვილის პერიფრაზი რომ მოვიხმოთ, იგი ასეთ რამეს აცხადებს: „ცუდად მხდის, როცა კაგებე-ს ოფიცერი პუტინი მსოფლიოს ლექციას უკითხავს ღირებულებებსა და დემოკრატიაზე“. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას მიხეილ სააკაშვილთან მიმართებით. საბოლოოდ როდის აღიქვამს მსოფლიო, რომ ზუსტად ამავე კონტექსტით უნდა იქნას გაგებული სააკაშვილის პერსონა?

– საქმე ისაა, რომ პირადად მე ცუდად მხდის, როცა ღირებულებებსა და დემოკრატიაზე ლაპარაკობს არა მარტო პუტინი, არამედ სააკაშვილი. უფრო მეტსაც გეტყვით, როდესაც დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიცია ლაპარაკობს ღირებულებებსა და ადამიანის ღირსებაზე. მე შემიძლია, კიდევ ავიტანო მათი საუბარი ეკონომიკაზე და ამან არ გამაღიზიანოს, პირს ვერ ავუკრავ ვერავის, მაგრამ იმას, რასაც ჰქვია ადამიანის უფლებები, დასავლური ღირებულებები, დასავლური ორიენტაცია... გულწრფელად გითხრათ, მაღიზიანებს, როცა ეს ხალხი ამაზე ლაპარაკობს. ასე რომ, სააკაშვილს თუ პუტინი აღიზიანებს, მე მთლიანად ეს ხალხი მაღიზიანებს, ვინც ამ ქვეყანას ის დამართა, რაც დამართა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში.

სამწუხაროდ, არ ვარ იმ აზრის, რომ ვიღაცა რაღაცაში ცდებოდა. ვგულისხმობ პოლიტიკურ წრეებს. უბრალოდ, დასავლეთმა გააკეთა არჩევანი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს არ იყო ღირებულებითი არჩევანი. ახლაც არ არის ღირებულებითი პოზიცია. გახსოვთ, ალბათ, კენედის მშვენიერი ფრაზა - „ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი“... ეს არის, ზოგადად, პოლიტიკის პრინციპი. ამიტომ ახლა ძალიან ბევრსაც ვერ მოვითხოვთ.

– თუკი დასავლური წრეებიდან დაიწყება სიმართლის თქმა და რეალობის წარმოჩენა, საინტერესოა, რა პოზიცია ექნება სააკაშვილის ბოლო ბასტიონს – ჯორჯ ბუშს, რომელიც მას აიდეალებდა? შეიძლება, მოგვიანებით მანაც თქვას სათქმელი სააკაშვილის მიმართ, რადგან პოლიტიკაში მუდმივი მეგობრები არ არსებობენ?

– არა, ეს არ ჯდება პოლიტიკური თამაშის წესებში. არც ერთი პრეზიდენტი არ გამოვა და არ იტყვის სხვა პრეზიდენტზე, გინდაც ყოფილ პრეზიდენტზე, რომ ეს იყო საშინელება. ვერც იმას იტყვის, ვცდებოდიო. ამას ვერ იტყვიან პოლიტიკოსები და ეს სწორიც იქნება. თუ ოდესღაც ცდებოდი, ეს ასე მარტივი სათქმელი არ არის, რადგან მისგან ახლაც კი მოითხოვენ იმ შეცდომაზე პასუხს და პასუხს აგებს არა ჯორჯ ბუში, არამედ ამერიკის „რესპუბლიკური პარტია“.

– თუმცა სააკაშვილის თავგადაკლული დამცველი მაკკეინიც ძველ პოზიციას უკვე არბილებს.

– მაკკეინი სხვა პიროვნებაა და, თანაც, ის არ არის ყოფილი პრეზიდენტი. პრეზიდენტები კი ამას არ იტყვიან. თუ გახსოვთ, კონდოლიზა რაისმაც რაღაც განცხადება გააკეთა ომთან დაკავშირებით, მაგრამ მოგვიანებით შეცვალა პოზიცია და განაცხადა, მთლად ასე არ მითქვამსო. ასე რომ, თუ საჭირო გახდება და ყოფილი ჩინოვნიკები, ყოფილი ელჩები საქართველოსა თუ დასავლეთში, ჩათვლიან, რომ ასეთი განცხადებები აუცილებლად დასჭირდებათ რაღაც სხვა საქმისთვის, ისევ დაიწყება მნიშვნელოვანი განცხადებების გაკეთება. ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ, ჯერჯერობით, ისინი ცდილობენ, ნორმალურობის ფარგლებში თამაშის რაღაც დონე შეინარჩუნონ. თუ სააკაშვილი მეტს მოინდომებს, მაშინ ეტყვიან იმას, რაც სათქმელია.

მანანა ნოზაძე

„ალბათ, იფიქრა, რომ წარმატების მიღწევის შანსი ჰქონდა, ან აშშ სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, არ გააკეთებდა. ის მთლად შეშლილი არ არის და ამაზე უნდა ეფიქრა. მის მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი ადამიანი გადადგებოდა და ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავდა. რა მიზეზით დარჩა თანამდებობაზე, არ ვიცი, ეს არ არის ნორმალური“, – ამბობს რიჩარდ მაილსი.

◎ ვითარება

გენერალი შერვაშიძე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გახდება?

მმართველ კოალიციაში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ გენერალ გიორგი შერვაშიძის კანდიდატურა განიხილება. ამ ინფორმაციას შერვაშიძე არც უარყოფს და არც ადასტურებს. როგორც მან for.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, მისი კანდიდატურა საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა. თუმცა, მაშინ „ქართული ოცნების“ წევრს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ არ მოუსმინა და არჩევანი ვახტანგ ყოლბაიაზე შეაჩერა.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ შეესაძლოა აფხაზეთის მთავარობის თავმჯდომარის პოსტი დაიკავოთ. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?

გიორგი შერვაშიძე: ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, ეს უნდა გადაწყვიტოს უმაღლესმა ხელისუფალმა. მე მაქვს ჩემი ხედვები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობასთან მიმართებაში, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილებთან მიმართებაში, რომლებიც გაურკვევლობაში არიან. ვნახოთ, რა იქნება. თუ იქნება შესაბამისი წინადადება, მზად ვარ შესაბამისი პასუხი გავცე.

— გავრცელებული ინფორმაციით, თქვენს კანდიდატურას მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრი და ამ მხარდაჭერას თქვენი და თამაზ თამაზაშვილის ნაცნობობას უკავშირებენ...

— მე მლობირებს ის საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც ჩემი კანდიდატურა წარადგინა აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში. რაც შეეხება თამაზ თამაზაშვილთან მეგობრობას, რა თქმა უნდა, ვმეგობრობთ. როგორ შეიძლება 2 წელი პანკისის ხეობაში ერთ „აკოპში“ ვყოფილიყავით და ერთმანეთს არ ვიცნობდეთ, ან რაღაცა ურთიერთობა არ გვქონდეს? რა თქმა უნდა, გვაქვს ურთიერთობა. ჩემი ლობისტია 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფი, დანარჩენი უმაღლესი საბჭოს გადასაწყვეტია.

— მაგრამ, როდესაც თქვენი კანდიდატურა წარადგინა საინიციატივო ჯგუფმა, მაშინ აფხაზეთის ა/რ უმაღლესმა თქვენი კანდიდატურა არ განიხილა, მეტიც, არც მოგისმინათ. მაშინ უმაღლესმა საბჭომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია გამხდარიყო...

— ჩემს გარდა, სხვა კანდიდატებიც იყვნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არც ერთს არ მოუსმინეს. უმაღლესი საბჭო — ეს არის არჩევითი ორგანო, მიუხედავად იმისა, რომ ოც წელიწადზე მეტია არავის არ აურჩევია, მაინც არჩევითი ორგანო ჰქვია და ვალდებულია, ყველა კანდიდატს მოუსმინოს. მცდელობა იყო, რომ მოესმინათ ჩემთვის, მაგრამ მერე რა მოხდა, ეს უკვე უმაღლეს საბჭოს და მის თავმჯდომარეს უნდა ჰკითხოთ და იმედია, პასუხიც ექნებათ.

— ვახტანგ ყოლბაიას არჩევისას, როგორც თავად უმაღლესი საბჭოს წევრები აცხადებენ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ მიმართა, რომ ეს კანდიდატურა შეთანხმებულია ბიძინა ივანიშვილთან და პაატა ზაქარეიშვილთან, მოგვიანებით თავად ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ის საქმის კურსში არაა ამ საკითხზე. სწორედ ეს ხომ არ იყო მიზეზი იმისა, რატომაც არ მოგისმინათ მაშინ უმაღლესმა საბჭომ?

— არ მაქვს სურვილი, ვისაუბრო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე. ალბათ, ჰქონდათ სურვილი, რომ ვახტანგ ყოლბაია დანიშნათ მოვალეობის შემსრულებლად. ფაქტია, რომ მე და სხვა კანდიდატები არ აღმოვჩნდით ერთნაირ პირობებში. დემოკრატიასთან დაკავშირებით პატარა პრობლემები იყო ამ მიმართულებით და იგნორირებული ვიყავით ყველა კანდიდატი, ერთის გარდა. უმაღლესი საბჭო არის არჩევითი ორგანო და ვალდებულია, მოუსმინოს ყველა კანდიდატურას. ვფიქრობ, რომ უმაღლესი საბჭო თავის თავში გააღვიძებს დადებით თვისებას, რომელიც დღეს მიძინებულია და რეალურად შეაფასებს მოვლენებს, რეალურად შეაფასებს სიტუაციას და დაიწყებს საკითხების განხილვას და მათ შორის იმ საკითხების, რასაც აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატების განხილვა ჰქვია.

— თქვენს კანდიდატურას უკვე გამოეხმაურა გარკვეული ჯგუფი და მიმართავენ პრემიერ-მინისტრს, რომ მხარი არ დაუჭიროს თქვენს კანდიდატურას. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ყოლბაიას მხარდამჭერთა ჯგუფია, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

— ე.წ. მხარდამჭერები... საინტერესოა. ამ. ე.წ. მხარდამჭერების გვარებსაც კი არ დავასახელებ, ხალხის ამ კატეგორიაზე არ მინდა ლაპარაკი. იქიდან გამომდინარე, რაც მე და ჩემს ოჯახს 2004 წლიდან მოყოლებული გადატანილი გვაქვს ყოფილი ხელისუფლებიდან, არ მინდა ამ ე.წ. მხარდამჭერებს პასუხი გავცე. ისეთ სიბინძურეებზე რაც იქ წერია, ამაზე ჩემს სათქმელს სხვანაირად ვიტყოდი, მაგრამ საზოგადოებას და თქვენ ამას არ გაკადრებთ. ჩემი მეგობრები მეუბნებიან, რომ სასამართლოში უჩივლეო, მაგრამ ვის უნდა ვუჩივლო? არაკაცი არის არაკაცი.

— ვინ არის ის საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც თქვენი კანდიდატურა წარადგინა?

— „ქართული ოცნების“ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ურთიერთობის საინიციატივო ჯგუფი. როდესაც ბატონი გიორგი ბარამია თანამდებობიდან გადადგა, სწორედ ამ ჯგუფმა წარმადგინა მაშინ. რამდენიმე კაცი მოვიდა ჩემთან, გვქონდა კონსულტაციები და მერე გადავწყვიტე, რომ მეკითხა სხვებისთვის, ენგურს გაღმაც ვიკითხე და მითხრეს, რომ რატომაც არაო.

— აფხაზებს დაეკითხეთ?

— დიახ. ჩემს მეგობრებს. დღეს რომ წერენ, რომ თურმე არავის არ ვიცნობ, მე შერვაშიძეს, აფხაზს, თუ არ მყავს მხარდამჭერი და გულშემატკივარი, მაშინ სხვებმა რა უნდა თქვან?!

— პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი ხედვა წარადგინა აფხაზეთთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით პროვოკაციების საფრთხის პრევენციის მყარი მექანიზმის ჩამოყალიბების და უსაფრთხოების გარანტირების პროცესში, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა აუცილებელია...

— ეს ინიციატივა დამატებით ფუნქციას სძენს აფხაზეთის მთავრობას. ეს არის, უწინარესად, ურთიერთობა შესაბამის სტრუქტურებთან აფხაზურ მხარესთან. ვიღაცას შეიძლება, ასეთი რამ წარმოუდგენლად ეჩვენოს, მაგრამ ეს ის თემაა, რაზეც ამ ოცი წლის განმავლობაში არავის არ უმუშავია. ამაზე მუშაობაა საჭირო ახლა.

— რა გეგმებით მიდიხართ აფხაზეთის მთავრობაში?

— აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისათვის, რომ გაუადვილოს ცენტრალურ ხელისუფლებას საუბარი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან და, რა თქმა უნდა, რუსეთთანაც. ეს უნდა გააკეთოს აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ და ჩვენ ამას ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას თავისუფლად შეეძლოს დალაპარაკება როგორც აფხაზებთან, ასევე რუსებთან. ამაში მაქსიმალურად ჩართული უნდა იყოს ევროპული მხარე.

— არჩევითი ორგანო ახსენეთ, 20 წელზე მეტია, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ამ შემადგენლობით აგრძელებს მოღვაწეობას. რამდენადაც ვიცი, „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფში მუშაობენ ამ საკითხზე, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს ეს საკითხი...

— არსებობს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ამ საკითხს სწავლობს და, რა თქმა უნდა, შესაბამისი გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო, რომელიც არჩეული იქნა აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველას მიერ. ეს ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული. დღეს მოქმედი არჩეული ლეგიტიმური ორგანო ვერაფერში ვერ გამოვიყენეთ, აბსოლუტურად. ყველაფრი უნდა გაკეთდეს ისე, როგორც ეს უკეთესია ქართულ-აფხაზური ურთიერთობისთვის.

ცოტნე დგებუაძე

◎ ვერსიები

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

ჩვენი გაზეთი უკვე წერდა ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის გარდაცვალების თაობაზე, ვთქვით, რომ გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე მიმდინარეობს. ალექსანდრე დანელიას გულმკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება. და მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია ვრცელდება.

ერთ-ერთი ვერსიით, პოლიციის მაღალჩინოსის გარდაცვალება ხურჩის ინციდენტს უკავშირდება. რამდენიმე დღის წინათ დანელია, რომელიც ხურჩის ინციდენტში ბრალდებულ რომან შამათავას მეგობარი იყო, დაიკითხა და ვრცელდება ვერსია, რომ დანელია მოკლეს. მკვლელობის მიზეზად ის გარემოება სახელდება, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს მისი ალაპარაკება არ აწყობდათ.

„დანელია ინფორმირებული იყო, რა ხდებოდა შამათავას თავს, როგორ იქცეოდა და რა დავალებებს ასრულებდა ის. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს მკვლელობა. მით უმეტეს, რომ ასეთი რამე პრაქტიკაში ჰქონდათ, როდესაც თავისთვის არასასურველ პირებს იშორებდნენ თავიდან და მერე ამას ფუთავდნენ როგორც თვითმკვლელობას.

გაიხსენეთ ლევან სამხარაულის ფაქტი. ზუსტად ვერ გეტყვით, ეს თვითმკვლელობა იყო თუ მკვლელობა, მაგრამ სულ არ გამიკვირდება, რომ ეს იყოს მკვლელობა, იმიტომ, რომ ასეთი რამ მომხდარა ამ ქვეყანაში“, — ამბობს for.ge-სთან საუბრისას ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.

გარდაცვლილის ძმა გია დანელია კი საეჭვო გარემოზე საუბრობს. for.ge-სთან საუბრისას ის ამბობს, რომ პოლიციის მაღალჩინოსანი ერთი წლის წინ გატაცებული იყო. ორი კვირის შემდეგ კი ოჯახში დააბრუნეს. როგორც ის ამბობს, მომხდართან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე არ საუბრობს. პროკურატურა უკვე დაინტერესდა ალექსანდრე დანელიას გატაცებით და ასევე, იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც, როგორც გარდაცვლილის ძმა ამბობს, მას აქვს.

for.ge-ს ინფორმაციით, გია დანელიას დაკითხვა ამ დღეებში იგეგმება.

„ჩვენ ბევრი ვერსია გვაქვს. ძალიან ბევრი რამ ვიცით. ჩემი ძმა ერთი წლის წინათ გატაცებულიც იყო. მანამდე დაიკითხა კიდევაც. ჩემს ძმას სხეულზე ორი ჭრილობა აქვს და ასე, ნაადრევად, თვითმკვლელობის ვერსიის გაჟღერება და, მით უმეტეს, უმაღლესი თანამდებობის პირების მხრიდან, შეურაცხმყოფელია ყველასთვის. ვიცი, რომ ჩემს ძმაზე ხორციელდებოდა დიდი ზეწოლა“, — აცხადებს გია დანელია.

მკვლელობის ვერსიას გამორიცხავს შს მინისტრი. ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, გამოძიების პირველადი ვარაუდით, ეს იყო თვითმკვლელობა.

„საქმე აღძრულია. გამოძიება დაწყებულია 115-ე მუხლით, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე სახლში იქნა ნაპოვნი. კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი, რის გამოც მისი შემტვრევა ძალის გამოყენებით გახდა აუცილებელი. მკვლელობას გამორიცხავ. სავარაუდოდ, ეს იყო თვითმკვლელობა, თუმცა, ყველა შეკითხვას გამოძიება გასცემს პასუხს“, — განუცხადა ჟურნალისტებს ალექსანდრე ჭიკაიძემ.

ალექსანდრე დანელია აფხაზეთიდან დევნილია, ის ნაქირავებ ბინაში მარტო ცხოვრობდა. ხურჩის ტერაქტში ბრალდებულ რომან შამათავას ადვოკატი რომეო საჯაია ალექსანდრე დანელიას გარდაცვალების ფაქტს ეჭვქვეშ აყენებს და ამბობს, რომ მას თავი მოაკვლევინეს, მანამდე კი მასზე ზეწოლა პოლიციის მაღალჩინოსნებისგან ხდებოდა.

„დანელია ამბობდა, რომ მასზე ზეწოლები ხდებოდა და ხურჩის საქმეზე თავისი მეგობრის რომან შამათავას წინააღმდეგ მიაცემინეს ჩვენება და ამის გამო, ის თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. არ არის გამორიცხული, რომ ის ასევე მოკლეს, რადგან მისი თავიდან მოშორება აწყობდათ“, — აცხადებს რომეო საჯაია.

მისი თქმით, ხურჩის საქმეზე დანელია მოწმე იყო, რომელსაც ზეწოლის შედეგად აფხაზების სასარგებლო ჩვენება მიაცემინეს, რის შეცვლასაც აპირებდა.

„აღნიშნული ჩვენების შეცვლას დანელია აპირებდა. იგი თავის საახლობლოში ამბობდა, რომ ზეწოლის შედეგად ჰქონდა ჩვენება მიცემული. გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე დღის წინ, მას დასავლეთ საქართველოს პოლიციის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირება ჰქონდა. ხურჩის საქმეზე კიდევ ერთ მოწმეზე ზეწოლა მიმდინარეობს. ამ მოწმის ვინაობას არ დავასახელებ, ჩვენ ვაგროვებთ მასალებს და ამ პირზე ზეწოლასთან დაკავშირებით გავავრცელებთ ინფორმაციას“, — განაცხადა რომეო საჯაიამ.

მისივე თქმით, ათი დღის მანძილზე დანელია გამოკეტილი ჰყავდათ მოდულის შენობაში და ამ ხნის მანძილზე მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა ხურჩის ტერაქტის საქმეზე. მას ძალით დააწერინეს აღიარებითი ჩვენება.

„20 ოქტომბრის დაკითხვის ოქმში ალექსანდრე დანელია აცხადებს, რომ თითქოს, ხურჩის ინციდენტი იყო დადგმული სპექტაკლი და თითქოს, ის იღებდა მონაწილეობს ამაში. ვისაც ალექსანდრე დანელია დაკითხვის ოქმში ახსენებს, გარდა შამათავასი, ყველა მუშაობს თავის ადგილზე და მათ გათავისუფლებას არც აპირებს შსს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებებში ისინიც ამბობენ, რომ ტერაქტში მონაწილეობა მიიღეს.

ესენი არიან, ვახო ჩიქობავა, კვაშილავა და შონია, ისინი მაღალი თანამდებობის პირები არიან დღესაც. მე მათი ჩვენებები მაქვს, სადაც აცხადებენ, მათ წინასწარ იცოდნენ, რომ სპექტაკლის დასადგმელად მიდიოდნენ“, — აცხადებს ადვოკატი.

ამასთან ვრცელდება ინფორმაცია, რომ დანელიას წლების წინ დაპირისპირება ჰქონდა კუდ-ის ხელმძღვანელთან დათა ახალაიასთან. დაპირისპირების მიზეზი კი გარდაცვლილი პოლიციელის ძმის გია დანელიას დაკავება გახდა. ის ერთ-ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობდა, კუდ-მა ის საკუთარ კაბინეტში ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ბრალდებით დააკავა, თუმცა, მალევე გაათავისუფლა.

„ახალაიასთან მათი დაპირისპირება ცნობილი ფაქტია. ვის ჰყავდა გატაცებული ეს მე არ ვიცი. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ყველაფერი, რაც უკავშირდება დანელიას და მის ძმას, ეს ყველაფერი გამოძიებული უნდა იყოს. ის ვერსიაც გავრცელდა, რომ ეს არაა თვითმკვლელობა. არაა გამორიცხული, რომ ხურჩის ეპიზოდთან იყოს დაკავშირებული“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ წევრი კახა მიქაია.

ცოტნე მეგრელიშვილი

ახლო აღმოსავლეთი – მუფოთვარე რეგიონი

სულ ახლახან ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში ტერორისტების მიერ აფეთქებულმა ბომბმა ირანის საელჩოს საგრძნობი ზარალი მიაყენა. დაზიანდა შენობის ფასადური ნაწილი, დაიღუპა ირანის საელჩოს კულტურის ატაშე, დაიჭრნენ ტექნიკური მუშაკი და რიგითი ლიბანელები. ტერორისტული აქტი განახორციელა ლიბანში არსებულმა „ალ-ქაიდას“ ფილიალმა. ტერორისტული აქტის მიზანი იყო – ირანისა და ლიბანში არსებული ორგანიზაცია „ჰესბოლას“ შეთანხმებული პოლიტიკა სირიასთან მიმართებაში.

რახანია ბეირუთში ირანის საელჩო მოქმედებს, მაგრამ არასდროს დასხმიან თავს. ტერორისტული აქტი სერიოზული გაფრთხილებაა ირანის მიმართ, რომელიც არა მარტო ორგანიზაცია „ჰესბოლას“ უჭერს მხარს, არამედ სირიის ხელისუფლებასაც.

ტერორისტულმა აქტმა მთელი სიგრძე-სიგანით წამოსწია ახლო აღმოსავლეთის მშფოთვარე პრობლემები. ძნელად თუ მოიძებნება დედამიწაზე რეგიონი, სადაც ახლო აღმოსავლეთის მსგავსი ჩახლართული პრობლემები იყოს. რას არ ნახავთ აქ – რელიგიურ თუ პოლიტიკურ დაპირისპირებას, ბრძოლას ლიდერობისთვის, პალესტინა-ისრაელის პერმანენტულ ომს – შესვენებებით, დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურ თამაშს გავლენის სფეროთა გაფართოებისთვის, ნავთობისა და გაზის საკითხებში დივიდენდების მოსაპოვებლად ბრძოლას და ა.შ.

არაბულმა გაზაფხულმა ახალი თავსატკივარი გაუჩინა ისედაც პრობლემებით გადატვირთულ რეგიონს, სირიის ომმა კი მთელი მსოფლიო ჩართო ურთულესი საკითხის პერიპეტიებში. ისრაელ-პალესტინის დაუსრულებელ პრობლემას ახალიც დაემატა სირიის ომის სახით. სირიის ომმა თავისთავად დააჯგუფა მსოფლიოს ქვეყნები სირიის ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. მომხრეთა შორის მოიაზრებიან ისეთი მძიმეწონიანები, როგორებიცაა რუსეთი, ჩინეთი, ირანი; მოწინააღმდეგეთა შორის არანაკლები წონიანები – აშშ-ის, ევროკავშირის, საუდის არაბეთისა და რეგიონის პატარა ქვეყნების სახით. პოლიტიკური დავა, კინკლაობა სისტემატურად მიმდინარეობს ხან ერთი, ხან მეორე მხარის უპირატესობით. ომი კი მიდის, შესაბამისი მსხვერპლით, ნგრევით, უდანაშაულო ადამიანების ხოცვით, ლტოლვილებით.

სირიის ომი ისეთ სახეს იღებს, სრულიად შესაძლებელია, საკუთარი ქვეყნის საზღვრები გადალახოს და მეზობელ ქვეყნებსაც მოედოს. მსგავსი რომ არ მოხდეს, გაერო, რუსეთ-აშშ ცდილობენ საომარი პროცესის შეჩერებას საერთაშორისო კონფერენციის მეშვეობით, თუმცა მისი გამართვის შანსი არცთუ მაღალია. და თუ გაიმართა, რა შედეგს მოიტანს, ძნელი სავარაუდოა. დაპირისპირება იმდენად ძლიერია, რომ ერთი კონფერენციის ჩარჩოებში მისი მოგვარება შეუძლებელია.

სირიის ფრონტზე იბრძვიან ექსტრემისტული ისლამის სხვადასხვა დაჯგუფებები, „ალ-ქაიდას“ ბოევიკები, ევროპასა და აზიაში, მათ შორის საქართველოში გამოზრდილი მებრძოლები. მათ, ბაშარ ასადის ხელისუფლების სიძულვილი და სხვადასხვა ქვეყნიდან მიწოდებული ფული აერთიანებთ, გარდა ამისა სუნიტური რწმენა და შიიზმთან მრავალსაუკუნოვანი ქიშპი.

ბაშარ ასადის დასაცავად იბრძვიან სირიის არმია და უცხოეთიდან ჩასული შიიტი მეომრები. შიიტურმა ირანმა არაერთხელ განაცხადა, რომ არ დაუშვებს სირიის ხელისუფლების დაცემას, სირიაში ანტიშიიტური ძალების გაბატონებას, დასავლეთ-ისრაელის ბატონობის განხორციელებას.

სირიასთან მიმართებაში ვითარებამ კულმინაციას ა.წ. სექტემბერში მიაღწია, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა გადაწყვიტა სირიის, ძალის გამოყენებით განეიტრალება. საბედნიეროდ, პოლიტიკურ პროცესებში რუსეთის აქტიურმა ჩართვამ იხსნა სირია, რეგიონი და მსოფლიო ფართომასშტაბიანი ომისგან, თუმცა „მცირე“ ომს წერტილი ვერ დაუსვა. დასავლეთის იარაღით, საუდის არაბეთის, ყატარის, არაბული საამიროების ფინანსებით უზრუნველყოფილი ოპოზიციური ძალები აგრძელებენ ომს, თუმცა მათი პოზიციები დღითიდღე ვიწროვდება.

სირიის ომის საკითხმა თითქოს მეორე პლანზე გადაიწია, მას შემდეგ, რაც სირიის ქიმიური იარაღის განადგურების პროცესი დაიწყო. სირიის მთავრობის გადაწყვეტილებით, უაღრესად მოკლე დროის განმავლობაში განადგურდა ქიმიური იარაღის წარმოების საშუალებები. პროცედურა, გაეროს სპეციალისტების ძალისხმევით განხორციელდა. არსებული იარაღის განადგურებისთვის მუშავდება გეგმა. როგორც ჩანს, მომავალი წლის ზაფხულისთვის ქიმიური იარაღის განადგურება დასრულდება.

სირიის პრობლემების მოგვარების დადებით ტენდენციას ირანის ბირთვული პროგრამის პოზიტიურად გადაწყვეტის საკითხიც დაემატა. გაეროს გენერალური ასამბლეის ბოლო სხდომიდან დაწყებული, ირანის ბირთვული კვლევის თემამ კვლავ მიიქცია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება. ირანის ახალი პრეზიდენტის ჰასან როუჰანის გენერალურ ასამბლეაზე წარმოთქმულმა კონსტრუქციულმა სიტყვამ გაალღო ვაშინგტონის „გამყინვარება“. პრეზიდენტი ობამა ტელეფონით ესაუბრა ირანის პრეზიდენტს. ასეთი რამ 1979 წლის შემდეგ არ მომხდარა.

იმ წელს ისლამურმა რევოლუციამ არა მარტო ამერიკის მარჯვენა ხელი – ირანის შაჰი რეზა ფეჰლევი დაამხო და გააძევა ქვეყნიდან, არამედ თეირანში არსებული აშშ-ს საელჩო მრავალი თვის განმავლობაში მეამბოხეთა ალყაში მოაქცია, რასაც მოჰყვა ორ ქვეყანას შორის როგორც დიპლომატიური ურთიერთობების, ისე სხვა კავშირების გაწყვეტაც.

აშშ-სთვის ირანი ნომერ პირველ მტრად გადაიქცა, ხოლო ირანისთვის ამერიკა – ნომერ პირველ „სატანად“. იქიდან მოყოლებული აშშ-ს ძალა არ დაუშურებია ირანის რევოლუციური ხელისუფლების ჩამოსაგდებად. ის იყენებდა როგორც ღია, ისე ფარულ ტერორისტულ აქტებს, აქეზებდა სადამ ჰუსეინის ერაყს ირანთან ომის გაჩაღებაში, ომის დროს ეხმარებოდა ერაყს და ა.შ.

ისლამური ირანის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ქვეყნის გადარჩენის საკითხი. ენერგეტიკული დამოუკიდებლობის თემა პირველი იყო იმ საკითხთა შორის, რომლის განხორციელებას შეუდგა ირანი. ბირთვული ენერგეტიკა, მეცნიერების განვითარება, ბირთვული კვლევების წარმოება-გაფართოება ამ ქვეყნის მოსახლეობის უპირველეს ოცნებად, ეროვნულ იდეად გადაიქცა.

დროის მოკლე პერიოდში ირანმა შექმნა მაღალეფექტიანი ბირთვული კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც მთების ძირში, მიწაში ღრმად არის განთავსებული ქვეყნის სხვადასხვა ადგილას, რაც შეუძლებელს ხდის მათი საჰაერო თავდასხმის გზით განადგურებას.

რომ არა ირანელთა წინდახედულება, ისრაელი დიდი ხნის წინათ მოსპობდა ლაბორატორიებს. მიწის სიღრმეში, მთების ძირში, თანაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განლაგებული ობიექტების განადგურება დიდ პრობლემასთან არის დაკავშირებული, რაც კარგად იცის ისრაელმა, მითუმეტეს აშშ-მა. საჰაერო დარტყმით შესაძლებელია ლაბორატორიებისთვის ზიანის მიყენება, მაგრამ განადგურება – შეუძლებელი. ზიანი, დროებით შეაფერხებს ურანის გამდიდრების პროცესს, მაგრამ ვერ აღკვეთს.

ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის განცხადებით, ირანული ლაბორატორიების ფიზიკური განადგურება შესაძლებელია, მაგრამ ტვინისა – შეუძლებელი. ბირთვული პროგრამა ირანელი მეცნიერების ტვინშია და მისი ამოძირკვა წარმოუდგენელია. არის ერთი გზა – მეცნიერთა განადგურება, რასაც არაერთხელ მიმართეს აშშ-ისრაელის სპეცსამსახურებმა, თუმცა ამ მზაკვრულმა პროცედურამ შედეგი არ მოიტანა.

ფარული ომის გარდა აშშ-მა ღია ომსაც მიმართა ირანისთვის ეკონომიკურ-საფინანსო სანქციების სახით. ბოლო წლების განმავლობაში მან გაეროს უშიშროების საბჭოს 4 სანქცია მიაღებინა. გარდა ამისა, თვით დაუწესა სანქციები ირანს. ცხადია, ყოველივე ამან მძიმედ იმოქმედა ირანის მოსახლეობის სოციალურ ყოფაზე, მაგრამ ვერაფერი დააკლო ბირთვული კვლევების პროგრამას. არ გამართლდა ამერიკულ-ებრაული ვარაუდი, რომ მშიერი ქვეყანა ვერ შექმნის ბირთვულ ბომბს.

ბირთვული ბომბის აჩრდილი აფრთხობს ისრაელს, ზოგიერთ არაბულ ქვეყანას, აშშ-ს და მის მოკავშირეებს. ისინი თავიანთი მენტალიტეტიდან გამომდინარე უდგებიან ბირთვულ კვლევებს. მათთვის ურანის გამდიდრების ზღვარის აწევა ბომბს ნიშნავს და არა სამედიცინო კვლევებს. მათ არ სჯერათ ირანის ხელისუფლების, ქვეყნის სულიერი ლიდერისა და მმართველის აიათოლა ხამენეის მიერ გამოცემული ფეტვის, რომელიც კრძალავს მასობრივი განადგურების იარაღის შექმნას.

რა მოუტანა ირანს ბირთვულ პროგრამაზე მუშაობამ? უწინარესად მეცნიერების განვითარება, განსაკუთრებით ისეთი დარგების, როგორებიცაა ენერგეტიკა, მედიცინა. ბირთვულმა კვლევებმა და რუსეთის დახმარებით აშენებულმა ბირთვულმა ელექტროსადგურმა ირანს მოუტანა ელექტროენერგია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება.

ბევრი მიიჩნევს, რომ ბირთვული ელექტროენერგია სულაც არ სჭირდება ნავთობითა და გაზით მდიდარ ირანს. ირანის ხელისუფლება მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ ნავთობი და გაზი ეროვნული სიმდიდრეა და მათ თვალის ჩინივით სჭირდება გაფრთხილება, ყაირათიანი მოხმარება. ენერგოშემცველების ექსპორტით მოგებული ფული კი – ქვეყნის განვითარება.

კვლევებმა თავისთავად გააჩინა ირანისადმი რიდი, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანასთან ან ამ იარაღის შექმნასთან ახლოს მდგომთან დამოკიდებულება თავშეკავებულია. ასეთს აგდებულად არავინ მიმართავს. სამყარო ისეა შექმნილი, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსა“ – თეორია აქტუალურია და ასე იქნება მომავალშიც.

ცხადია, ყოველივე აღნიშნული ართულებს ცხოვრებას, იწვევს მტრულად განწყობილთა ბანაკის გაფართოებას. ირანის დამოუკიდებელი პოლიტიკა, მასთან ერთად ბირთვული პროგრამა, არა მარტო ისრაელ-აშშ-ს და მათ მოკავშირეებს არ მოსწონთ, არამედ არაბულ ქვეყნებს, ისეთებს, როგორებიცაა საუდის არაბეთი, ყატარი, არაბული საამიროები.

მავანი იტყვის, რას წარმოადგენენ ეს ქვეყნები, რომ მათ მოსაზრებას ანგარიში გაეწიოსო.

ნავთობპროდუქტებით გამდიდრებული ქვეყნები, აშშ-ს მოკავშირეები, სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. დიდია მათი ინვესტიციები, როგორც აშშ-ი, ისე ევროკავშირის ქვეყნებში. ამ ქვეყნების ფულით მოხიბლული ლობისტები წარმატებით მუშაობენ აშშ-ში, ევროკავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით – საფრანგეთში.

საუდის არაბეთის ინვესტიციებმა აიძულა საფრანგეთის მთავრობა, რადიკალურად საწინააღმდეგო პოზიცია დაეკავებინა ჟენევაში, „ექვსეულ“ – ირანის მოლაპარაკებებზე, ნოემბრის 10-ში. და როდესაც თითქმის ყველაფერი მზად იყო, ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერისთვის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფაბიუსმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – ირანის ნდობა არ შეიძლებაო და მოითხოვა ირანისგან ურანის გამდიდრებაზე უარის თქმა, რაც მიუღებელია თეირანისთვის.

ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერა. საფრანგეთის პოზიცია უმალ გაიშიფრა როგორც შინ, ისე გარეთ. მემარჯვენე პარტიის ლიდერმა მარინ ლე პენმა ოლანდის მთავრობას „პუტანკა“ უწოდა, რომელიც არაბულ ფულზე იყიდება.

საუდის არაბეთის პოზიცია გასაგებია. მას არ მოსწონს ირანი, რეგიონში მისი მზარდი როლი, მისი მხარდაჭერა ბაშარ ასადის ხელისუფლებისადმი. საუდის არაბეთი თავს ახლო აღმოსავლეთის ლიდერად მოიაზრებს. მას მიაჩნია, რომ შიიტური ირანი ხელს შეუშლის პირველობისთვის ბრძოლაში. საუდის არაბეთის მეფემ აბდალამ განაცხადა, რომ თუ ირანი შექმნის ბირთვულ ბომბს, საუდის არაბეთიც შექმნის მას.

საუდის არაბეთი არ მიესალმება აშშ-ირანს შორის ურთიერთობას. ის თვლის, რომ ირანმა ბოლომდე უნდა დაიჩოქოს ეკონომიკური სანქციებით. საუდის არაბეთის პოზიცია ემთხვევა მტერი ისრაელის პოზიციას, რომელიც საყვედურობს აშშ-ს ირანთან დიალოგის დაწყებისთვის.

თელ-ავივი რახანია მოუწოდებს აშშ-ს ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღებისკენ. როგორც საუდის არაბეთს, ისე ისრაელს მიაჩნიათ, რომ ამერიკა-ირანის ურთიერთობა თავისთავად გამოიწვევს მათ მეორე პლანზე გადაწევას, რაც მიუღებელია. ისრაელს სოლიდარობას უცხადებს საფრანგეთი, ოლანდის ვიზიტი ისრაელში ამის დასტურია.

23 ნოემბრის ჟენევის ხელშეკრულება ახლო აღმოსავლეთისთვის ახალ პერსპექტივას სახავს, რომელშიც აშშ-ს შეცვლილი პოლიტიკა მოჩანს. ამ პოლიტიკის მიხედვით, სულაც არ არის გამორიცხული, ვაშინგტონ-თეირანის დაახლოება, სხვადასხვა დარგში კონსტრუქციული თანამშრომლობა, რაც თავისთავად გამოიწვევს ამჟამინდელი მოკავშირეების – საუდის არაბეთისა და ისრაელის როლის გაფერმკრთალებას.

ახალი პოლიტიკა რუსეთის ეჭვსაც აღძრავს, რის შესახებაც უკვე განაცხადეს რუსმა ექსპერტებმა. მათი აზრით, ირანში ფეხგადგმული ამერიკა დიდი მუქარა იქნება რუსეთისთვის. ცხადია, აშშ შეეცდება ირანში პოზიციების გამყარებას, მაგრამ რამდენად მოასერხებს ის ამას, ძნელი სავარაუდოა. ირან-ამერიკას შორის მაღალი, გამყოფი, იდეოლოგიურ-პოლიტიკური კედელია აღმართული, რომლის გადალახვა ან დანგრევა უახლოეს პერსპექტივაში წარმოუდგენელია.

მიესალმებიან თუ არა ამერიკელები და ირანელები ურთიერთობების გაუმჯობესებას? ერთი შეხედვით ისინი თითქოს დადებითად უნდა იყვნენ განწყობილნი, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ორივე ქვეყნის ხელისუფლებას სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავს და მათი ძალა საგრძნობია.

რესპუბლიკელები ობამას მოუწოდებენ არა ურთიერთობისკენ, არამედ სანქციების დაწესებისკენ. ანალოგიური ვითარებაა ირანშიც. ირანელთა ნაწილს არ სურს მტერ ამერიკასთან ურთიერთობა.

ასეთ არასახარბიელო ფონზე იქმნება ახლო აღმოსავლეთის ახალი პოლიტიკა, რომელიც

თავისთავად უნდა იწვევდეს საქართველოს ხელისუფალთა ინტერესს. შეძლებენ თუ არა ისინი სათანადო დასკვნების გაკეთებას, ძნელი სავარაუდოა. არადა აუცილებელია.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ერთი ქანდაკების ისტორია

პრობლემა – წლობით გადაუჭრელი

ძვირფასო მკითხველო, რასაც თქვენ ახლა ქვემოთ წაიკითხავთ, ამის შესახებ მრავალჯერ შეუხსენებია საზოგადოებისთვის უნიჭიერეს მოქანდაკეს, კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის ავტორს თენგიზ კიკალიშვილს, მაგრამ პრობლემა ადგილიდან არ დაძრულა.

თენგიზ კიკალიშვილს ისღა დარჩა, რომ, ამჯერად, შეხმიანებოდა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს, რომლებისთვისაც, დიახაც რომ, ძვირფასია ეს საკითხი... შეუდგენიათ მათ მიმართვა დედაქალაქის მერის სახელზე და მიმართეს რედაქციას, რომ გაზეთის ფურცლებიდან მაინც შეესმინა მერიას პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იმედს იტოვებს, რომ ქალაქის მერია და საკრებულო, პირადად ბატონი გიგი უგულავა, ბოლოს და ბოლოს, თავს დაადგამენ ამ, წლობით გადაუჭრელ პრობლემას.

ვილენ მარდალეიშვილი

ძალაძ თბილისის მერს გიგი უგულავას
ბატონო გიგი,

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი გაიხსნა მისი 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით (1983 წლის 6 ივნისი).

ხსენებული ძეგლი და მისი არქიტექტურული ანსამბლი პროექტით გათვალისწინებულ მასალაში არ შესრულდა, ქანდაკება ბრინჯაოში არ ჩამოისხა, ხოლო არქიტექტურული ნაწილი არ შეიმოსა ქვით და ქვაში გათლილი მხატვრული ელემენტებით. ეს მოხდა იმის გამო, რომ მისი შექმნა მიმდინარეობდა ფორსირებული წესით. აჩქარების მიზეზი იყო მწერლის კარს მომდგარი იუბილე და ახლად შემოტანილი საკავშირო დადგენილება, რომელიც კრძალავდა მასთან შეთანხმების გარეშე რესპუბლიკებში მონუმენტური ძეგლების დადგმას. აღნიშნული ძეგლი კი ამ აკრძალვამდე იქნა დაწყებული და უკვე დამთავრების პროცესში იყო. სწორედ ამ აჩქარებამ გამოიწვია ის, რომ ძეგლი ჩამოისხა შეფერილ ბეტონში, ხოლო არქიტექტურული ნაწილი შეღებილი ხით და ფანერებით მოპირკეთდა თეატრალური დეკორაციის მსგავსად. თუმცა ხელმძღვანელობამ პირობა დადო, რომ უახლოეს ხანში გაგრძელდებოდა დაუმთავრებელი სამუშაოები და ანსამბლი სრულყოფილი სახით დასრულდებოდა.

განვლილი 30 წლის მანძილზე ავტორებმა, მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილმა და არქიტექტორმა თამაზ თევზაძემ, არაერთხელ წამოაყენეს საკითხი ანსამბლის სრულყოფილად დამთავრების თაობაზე, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძროდა. 2006 წელს დედაქალაქის მერიამ ყურად იღო საზოგადოების, საქართველოს მხატვართა და არქიტექტორთა კავშირების ერთობლივი მოთხოვნა და ძეგლის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსება 2007 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა, თუმცა, ეს რეალურად არ განხორციელებულა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამუშაოები შემდგომში წლების მანძილზე რჩებოდა, დედაქალაქის ბიუჯეტში, გაურკვეველი მიზეზების გამო ვითარება არ შეცვლილა. უფრო მეტიც, ავტორთა მხრიდან აღნიშნული სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებული საქმის არაერთგზის შეხსენებას მერია უპასუხოდ ტოვებდა.

ამჟამად, როდესაც მიმდინარეობს დედაქალაქის 2014 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესი, მოგმართავთ თხოვნით, ბიუჯეტში გაითვალისწინოთ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლისა და არქიტექტურული ნაწილის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენი მხარდაჭერით ეს თხოვნა 33 წლის შემდეგ მაინც დაკმაყოფილდება და კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი და არქიტექტურული ნაწილი მიიღებს დასრულებულ სახეს და დედაქალაქს შეემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რაც შემატებს ღირსებას ჩვენს ეროვნულ კულტურას.

ამ მოთხოვნას ვადასტურებთ ქვემორე ხელმომწერნი:

გიორგი (გიგა) ბათიაშვილი – თბილისის საპატიო მოქალაქე, აკადემიკოსი; **გივი შავდია** – არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; **მერაბ ბოლძვაძე** – არქიტექტურის დოქტორი; **ომარ ჯაფარიძე** – არქიტექტორი; **მერაბ ჩხენკელი** – არქიტექტორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის წევრი აკადემიკოსი; **მერაბ მერაბიშვილი** მოქანდაკე, თბილისის საპატიო მოქალაქე, აკადემიკოსი; **თემო გოცაძე** – სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; **შალვა შავგულიძე** – საქართველოს პარლამენტის ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი.

P. S. ანალოგიურ წერილს ვაგზავნით დედაძალაძის საკრებულოში.

◎ SIC!

ჯიბეს ისქელებენ... ბავშვის განავლით

სამედიცინო დაწესებულებებმა „ინდივიდუალური მიდგომა“ ნორმად აქციეს

საძართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს სამედიცინო დაზღვევა განურჩევლად ასაკისა. ეს ეხებათ პატარა ბავშვებსაც. ბალში მისაყვანი ბავშვის მშობლებს სხვა ცნობებთან ერთად სთხოვენ სამედიცინო ცნობის, ფორმა №100-ის წარდგენასაც. სწორედ აქ გადაწყვიტეს პოლიკლინიკების ადმინისტრაციებმა ფულის გაკეთება.

ფორმა №100-ის მისაღებად მასში გათვალისწინებული ყველა ანალიზი უფასოა, ანუ დაზღვეულია... მაგრამ უმეტესი პოლიკლინიკების ხელმძღვანელებმა სწორედ იმის გამო, რომ ამ სამედიცინო ცნობაზე მოთხოვნა დიდია, ფულის შოვნის ეშმაკური გზა გამონახეს. როგორც ამ საკითხით დაინტერესებული არასამთავრობოები აცხადებენ, ადმინისტრაციები ექიმებს ავალდებულებენ, მშობელს მოსთხოვონ ბავშვისათვის განავლის ანალიზის ჩაბარება, რასაც დაზღვევა არ აფინანსებს.

ა/ო დაინტერესდნენ, საიდან გაჩნდა საყოველთაოდ მიღებული და დამტკიცებულ ფორმა №100-ის ანალიზებში განავლის ანალიზი. გაირკვა, რომ პოლიკლინიკების უმეტესობას ამგვარი ანალიზის ჩაბარება საკუთარი წესდებით აქვს განსაზღვრული და ფორმა №100 მისაღებად ერთ-ერთ აუცილებელ პირობადაა მიჩნეული. გამოდის, რომ სამედიცინო დაწესებულებებისთვის თვითნებურობა და „ინდივიდუალური მიდგომა“ აუცილებელ ნორმად ყალიბდება. საქმე ის არის, რომ დაზღვევით დაუფინანსებელი განავლის ანალიზი 12 ლარი ღირს. ჯანმრთელობის ცნობაზე მოთხოვნა დიდია და პოლიკლინიკებმაც დრო იხელთეს, მაგრამ რა ქნან იმ ოჯახებმა, სადაც ფორმა №100 ორი ან სამი ბავშვისთვის აქვთ ასაღები? დაბალშემოსავლიანი ან, საერთოდ, შემოსავლის არმქონე ოჯახებისთვის 12 ლარიც პრობლემაა, მით უმეტეს 24-36 ლარი.

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ფორმა №100-ით გათვალისწინებული ყველა ანალიზი უფასოა. შეიძლება, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ექიმმა მოითხოვოს დამატებითი ანალიზები, რაც ფასიანია (გააჩნია, რას მოითხოვს). ასევე ფასიანია, თუ მშობელი მოითხოვს დამატებითი ანალიზების ჩატარებას.

პრობლემამ იმდენად მასშტაბური ხასიათი შეიძინა, რომ მასზე რეაგირება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომაც მოახდინა. მან ჟურნალისტებს კატეგორიულად განუცხადა, რომ ფორმა №100 ბავშვებისთვის უფასოა. მან იქვე დაამატა, რომ **თუ რომელიმე პოლიკლინიკა ამ სამედიცინო ცნობის გაცემისთვის დამატებით ფასიან ანალიზებს მოითხოვს, გადამხდელმა ქვითარი მასთან წარადგინოს. მინისტრი წარმდგენთ ჰპირდება, რომ გადახდილ თანხას უკან დაუბრუნებს, ხოლო სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას შესაბამის სასჯელს დაადებს. სერგეენკოს ამ დაპირებას მართლაც მოჰყვა შედეგები, რამდენიმე პოლიკლინიკის ხელმძღვანელებს ადმინისტრაციული სასჯელები დაედოთ. მაგრამ, მიუხედავად მინისტრის განცხადებისა და გამოტანილი სანქციებისა, პოლიკლინიკების უმეტესობას შეთითხნილი შიდა წესდების შეცვლა არც უცდიათ. ისინი სარგებლობენ იმით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ უფლებებში ნაკლებად ან თითქმის სრულიად ვერ ერკვევა და დარღვევებზე არ რეაგირებს,** – ასკვნიან ექსპერტები.

მათი აზრით, სამწუხაროდ, ვერ გამოინახა მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს, სადაზღვევოებისა და სამედიცინო დაწესებულებების ურთიერთობას გაამყარებდა. ჯამში ზარალდება მოსახლეობა, რომლის მატერიალური მდგომარეობა ისევ მძიმეა, მიაჩნიათ სპეციალისტებს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ინტერნეტიდან

„ნაცების ბოლო შხამის ულუფა იყო“...

„უგულავამ“ ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატურაზე კომენტირებისას მოახერხა და საქართველოს პრეზიდენტს მიაყენა შეურაცხყოფა. რაში დასჭირდა და საერთოდ რატომ ქნა ეს, გაუგებარია... ალბათ მის ისტერიულ ნატურას უნდა მივაწეროთ ყოველივე“ – დაპოსტა შალვა რამიშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე. ამ პოსტს მრავალი გამოხმაურება მოჰყვა.

„ინფანტილიზმი“.

„და არა მარტო პრეზიდენტს“.

„ნაბოზარი ჩუკენაა და იმიტო, ის ფული დადოს მაგ ახვარმა, რიყეზე და იმედზე რო მოტეხა“...

„რა თქმა უნდა, მაგრამ პრეზიდენტის მოხსენიება საერთოდ გაუგებარი იყო, აკეთებდა კომენტარს მის უშუალო კონკურენტზე და უცებ პრეზიდენტიც ახსენა“...

„რატომ არ იჭერენ ამ მათხოვარს ბოკერიასთან ერთად“...

„თუ არ მოვიშორეთ ეგენი, უფრო უარესს შეურაცხყოფებზე გადავლენ“...

„კალიგულას ცხენს შეადარა“...

„თვითონ კალიგულას სირი როა, არა უშავს“??

„იგივე ტექსტით მიაყენა შეურაცხყოფა პრეზიდენტს (სააკაშვილის სიტყვებზე დაყრდნობით) RTVI-ს ჟურნალისტმა ლატინინამ. ამაზრზენია ეს ყველაფერი“...

„ბოღმით დაღრჩობილი“...

„ქიმიურმა გიგიმ იცის, რაც მოელის და გამწარებულია“..

„გაბოროტებულია და რა ქნას? სახუმარო საქმე ხომ არ არის: „ილიკო ჩიგოგიძის არ იყოს“, ნაცები ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ, ახლა კი ტყავის პალტოში და რეზინის ჩექმებში არიან გამოწყობილი“!!!

„ისე, ნეტა შალვა გულში მართლა უჭერს ნარმანიას მხარს? მართლა ნუ დაგვცინით რა, ისე არ ქნათ, თქვენმა მომხრეებმაც არ მოგცეენ ხმა. ყოჩაღ პაპუაშვილი“.

„ნაცების ბოლო შხამის ულუფა იყო“...

„უბრალოდ იდიოტია და რატომ უსმენთ საერთოდ“?

„საქმე აკეთოს – და ხალხს პატივი სცეს, სხვა არრაა სავალდებულო...უგულავას კი... მოკლედ საქმეა საკეთებელი“...

„რა იყოთ, გეწყინათ უგულავას შეურაცხყოფა? მეტის ღირსები ხართ. ვითომ ვიღაცები დაიჭირეს, გაატელევიზორეს და შემდეგ ჩუმად სათითაოდ გამოუშვეს, თუ უდანაშაულოები იყვნენ, პომპეზურად რას აკავებდნენ? ასევე პომპეზურად რატომ არ გაანთავისუფლეს? ამიტომაც არის დიდ გულზე. ტოჟე მნე გაუკვირდა“...

„დეგენერატი სელაპი“...

„1000-ლარიანი კვიპაროსების საქმე როგორაა ნეტა? არ გავიდა ფინალში გამოძიება“?

„ეს სწორედ უგულავას მენტალურ პროვინციალიზმზე მიანიშნებს და, საერთოდ, გაუგებარია, რატომ ვითმენდით ამ მარაზმს თბილისელები ამდენი ხანი“?!

ნატა ნიბლაძე

წიაღში ჩამალული ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გასაღები

კაცობრიობის განვითარება უენერგეტიკოდ წარმოუდგენელი რომაა, ეს აქსიომაა. საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ენერგოპოტენციალის გაზრდას სახელმწიფოები სხვადასხვა მიმართულებების განვითარებით ცდილობენ, ვთქვათ, ბირთვული, ჰიდრო, თბო, მზის, ქარის თუ ბიოელექტროსადგურების მშენებლობით, ასევე ნავთობისა და გაზის ახალი საბადოების დაზვერვით თუ ძველების მარაგის გაზრდით. თანამედროვე ეტაპზე წამყვანი ადგილი მსოფლიოში მაინც ბირთვულ და ჰიდროენერგეტიკას, ასევე ნავთობპროდუქტებისა და გაზის ენერგიის გამოყენებას უკავია, რომელთაგან წინამდებარე მასალაში ყურადღებას ნავთობზე გავამახვილებთ. აღნიშნულ საკითხში საფუძვლიანად გასარკვევად დახმარებისთვის საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეს, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მინერალური რესურსების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, ამერიკის შეერთებული შტატების მენავთობე გეოლოგთა ასოციაციის წევრს, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზურაბ მგელაძეს მივმართეთ.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგების არსებობის თაობაზე ლაპარაკი დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ კონკრეტული საიმედო მონაცემები ამასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობია. თავის დროზე ხმებიც დადიოდა, თითქოს ქართველი გეოლოგები ქვეყანაში ნავთობის მარაგების შესახებ ზუსტ მონაცემებს მალავდნენ, რადგან „მომავლის პურს“ ისევ მომავალ თაობებს უნახავდნენ... მაშ, სინამდვილეში როგორაა საქმე: საქართველოს მართლა აქვს თუ არა ნავთობის რამდენადმე მნიშვნელოვანი მარაგი?

— მთავარი ისაა, რომ **საქართველოს ნამდვილად აქვს ნავთობისა და გაზის იმხელა მარაგი, რომ არა მარტო უზრუნველყოს ამ ენერგოშემცველებით სხვა ქვეყნებისგან თავისი დამოუკიდებლობა, არამედ გაყიდოს კიდეც ნავთობი,** — ამბობს ბატონი ზურაბი. — ჩვენში ნავთობი თავდაპირველად ჯერ კიდევ გერმანელმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს, პირველი ჭაბურღილი 1868 წელს ამოქმედდა, საიდანაც დღე-ღამეში 2,5 ტონა ნავთობს იღებდნენ. გეგმაზომიერი მოპოვება 1980-იან წლებში დაიწყეს, მაქსიმალური მაჩვენებელს კი 1981-83 წლებში მივაღწიეთ, როცა წელიწადში 3,3 მილიონ ტონას მოვიპოვებდით. იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეს მოკრძალებული მაჩვენებელი იყო, მითის წარმოშობაც საქართველოში ნავთობის მარაგის სიმწირეზე სწორედ ამას უკავშირდება.

საქმე ისაა, რომ საქართველო გეოლოგიური აგებულებით ნავთობისა და გაზის შემცველ ერთდროულად ორი სტრუქტურის ნაწილს მოიცავს: ერთი მათგანია შავი ზღვის აღმოსავლეთი ოლქი (დასავლეთი საქართველო), მეორე — სამხრეთი კასპიის აუზი (აღმოსავლეთი საქართველო). **სადღეისოდ საქართველოში აღმოჩენილია 16 ნავთობისა და თითოთითო გაზისა და გაზკონდენსატის საბადო, ასევე ნავთობის კიდევ 1500 გამოვლინება. გარდა ამისა, თბილისის მახლობლად უნიკალურ ვულგანოგენურ-დანალექ ქანებში ნარჩენი ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგია, რომლის მოპოვება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უახლოეს წლებში სავსებით შესაძლებელია. კერძოდ, მსოფლიო კლასიფიკაციით, სამგორ-პატარძეულის ნავთობის საბადო დიდ საბადოთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის მარაგი 30 მილიონ ტონაზე მეტია.**

— გარდა ამისა, ბოლო გეოლოგიურ-საძიებო კვლევებით ნავთობის არსებობა ზემო იმერეთშიც დადასტურდა, მაგრამ **როცა ეს ამბავი სახელმწიფო ორგანოებს ვაცნობეთ და მიმართვაც გავუგზავნეთ შესაბამისი სამუშაოების ჩატარების თაობაზე, არა თუ რაიმე კონკრეტული პასუხი არ მიგვიღია, საკითხზე საერთოდ არანაირი რეაგირება არ ყოფილა,** — გულდაწყვეტით ამბობს ბატონი ზურაბი. — 2005 წლამდე ნავთობმომპოვებელი კომპანიის „ანადარკოს“ მრჩეველი გახლდით, რომელიც ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიებით სამუშაოებს შავ ზღვაში ატარებდა. მის ფსკერზე სამი დიდი სტრუქტურა აღმოვაჩინეთ და თუმცა, წყლის სვეტის სიმაღლე იმ უბნებზე 1200-1300 მეტრია, ნავთობმომპოვებელი სპეციალური პლატფორმების გამოყენებით ამ უდიდესი პოტენციალის მქონე საბადოთა დამუშავება სავსებით შესაძლებელია.

— მაშ რატომაა, რომ საქართველოში, სადაც ნავთობპროდუქტების, ფაქტობრივად, მთელი ოდენობა შემოტანილია, ეკონომიკის განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტი პრაქტიკულად მთავრობის ყურადღების არეალიდანაა ამოვარდნილი?

— ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად საკმარისი რესურსის არსებობის მიუხედავად, ეს დარგი ჩვენში, სამწუხაროდ, თითქმის განუვითარებელია, — ამბობს ბატონი ზურაბი.

— ნავთობისა და გაზის სამრეწველო მასშტაბით მოპოვების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მიზნობრივი ინვესტიციების მოზიდვა, საჭიროა ინვესტორებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და შეთავაზებული პროექტის ყოველმხრივი განხილვა, რა დროსაც, ცხადია, უწინარესად ქვეყნის ეროვნული ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული. ნავთობისა და გაზის მოპოვების დიდი პოტენციალი კი საქართველოს, მერწმუნეთ, აქვს: **აზერბაიჯანის, კასპიის ზღვისა და თურქმენეთის დასავლეთ ნაწილთან ერთად, აღმოსავლეთი საქართველო სამხრეთი კასპიის ნავთობგაზშემცველი პროვინციის თითქმის 900 კილომეტრზე გადაჭიმული უბანია! დასავლეთი კოლხეთის დაბლობი კი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნავთობგაზშემცველი ოლქის ნაწილია.** ზოგადად, კი უნდა ითქვას, რომ ბუნებაში ნავთობისა და გაზის ერთეული დაგროვებები არ არსებობს: იქ, სადაც ერთი საბადოა, ახლების აღმოსაჩენად ინტენსიური გეოლოგიური ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო.

ბოლო წლებში საქართველოში ნავთობის არც ერთი ახალი საბადო აღმოჩენილი არ არის, არადა, ყოველწლიურად ქვეყანაში დაახლოებით 1,0-1,2 მილიონი ტონა ბენზინის იმპორტი ხორციელდება, რის შედეგად საზღვრებს გარეთ მილიარდ დოლარზე მეტი გაედინება.

— თუ საქართველოში ნავთობპროდუქტებს საკუთარი ნედლეულის ბაზაზე ვაწარმოებთ, უზარმაზარი ფინანსური სახსრები, ბუნებრივია, ისევ ქვეყანაში დარჩება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწვავის ფასის კლებასთან ერთად შემცირდება პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯი და, ენერგოშემცველის გაიაფების შედეგად, დაიკლებს მრავალი სხვა სახეობის საქონლის თვითღირებულებაც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნავთობისა და გაზის სათანადო მარაგების მქონე ნებისმიერ ქვეყანას საკუთარი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა თავისუფლად შეუძლია. ამის თვალნათელი მაგალითია ახლო აღმოსავლეთის, ირანის, ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკის, ასევე დასავლეთი ევროპის (კერძოდ, ნორვეგია) მრავალი ქვეყანა, სადაც აღნიშნულ ენერგოშემცველთა დიდმასშტაბიანი მოპოვების დაწყების შემდეგ, ეკონომიკური მაჩვენებლებისგაზრდის დარად, მოსახლეობის ცხოვრების დონეც მნიშვნელოვნად ამაღლდა. არსებული პოტენციალით საქართველოსაც შეუძლია ამ წარმატებული ქვეყნების „ამქარში“ გაწევრება, მაგრამ ამ მიმართულებით მთავრობას ჯერჯერობით სრულიად გაუგებარი ინერტული პოზიცია უკავია. არადა, ნედლი ნავთობის გადამუშავებით მიიღება არა მარტო ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქტები, როგორებიცაა ბენზინი და დიზელის საწვავი, არამედ ნავთი, კოქსი, მაზუთი, თხევადი გაზი, ასევე პლასტმასები, კოსმეტიკური და მედიკამენტოზური საშუალებები და სხვა, რომელთა მთლიანი ღირებულება ნედლეულისაზე გაცილებით მეტია.

— ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად ქვეყანამ მნიშვნელოვანი მოგება ვერ მიიღო, რასაც 2009 წელს ნავთობის ამოღების მაჩვენებლის 54 ათას ტონამდე, ხოლო გაზის — 16 მილიონ კუბურ მეტრამდე შემცირება მოწმობს, — ამბობს ზურაბ მგელაძე. — ამ ენერგოშემცველთა მოპოვებითი სამუშაოების დაბალი ეფექტიანობა რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. **პირველი:** საბჭოთა კავშირის დროს საქართველო საკმარისი ოდენობის ნავთობპროდუქტებითა და ბუნებრივი გაზით მარაგდებოდა, რაც, ბუნებრივია, საკუთარი საბადოების ძებნა-ძიებისა და, მით უმეტეს, ინტენსიური დამუშავების აუცილებლობას არ ჰქმნიდა. **მეორე:** გასულ საუკუნეში მსოფლიოს მოწინავე ნავთობმომპოვებლები ნავთობისა და გაზის დიდი საბადოების ძიებას, დაზვერვასა და დამუშავებას მშვიდ გეოლოგიურ პირობებში ანიჭებდნენ უპირატესობას, ამდენად საქართველო, მისი რთული გეოლოგიური აგებულების გამო, მათ ინტერესთა სფეროში არ შედიოდა. **მესამე** ისაა, რომ საქართველოს ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების დარგი კომპეტენტურ მართვას, ფაქტობრივად, მოკლებულია.

კიდევ ერთი მიზეზი გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში უმწვავესი პოლიტიკური მოვლენებია, რა დროსაც მთელმა რიგმა ორგანიზაციულმა შეცდომამ და დარგის დაფინანსების შეწყვეტამ დღესდღეობით უაღრესად ცუდი შედეგი მოგვიტანა. 2006-2007 წლებში ჩატარებული რეფორმის შედეგად შპს „საქნავთობი“ საერთოდ გაუქმდა, ხოლო მისი დარჩენილი ნაწილი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში შევიდა, რომლისთვისაც ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიება, დაზვერვა, დამუშავება და ამ პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა პრიორიტეტი არ იყო. ასევე შეიცვალა საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს სტატუსი, რომელიც ამჟამად ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთი ქვედანაყოფია.

— არადა, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ჭაბურღილიდან ნავთობი ამოდის, ამ სახის წიაღისეულსა და მის ექსპლუატაციაზე კონტროლის დასამყარებლად ნავთობის სახელმწიფო კომპანიებს ქმნიან.

ერთი უბედურებაც ისაა, რომ უცხოური კომპანიები საქართველოში, ფაქტობრივად, ყოველგვარი კონტროლის გარეშე მოქმედებენ, კაცმა არ იცის, კერძოდ, რას საქმიანობენ, რა ძებნა-ძიებით სამუშაოებს ატარებენ მათი სპეციალისტები და რა შედეგებს იღებენ. **ასეთ სტრატეგიულ საკითხებს კი ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს პირველი პირები ხელმძღვანელობენ და მეთვალყურეობენ!**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყანაში ნავთობისა და გაზის მოპოვების საკითხი, როგორც ჩანს, სახელმწიფოს ნაკლებად აინტერესებს, რაც, დაგვეთანხმებით, ლოგიკურად ასახსნელად საკმაოდ რთულია. თუმცა კი, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ დარგისადმი ამ დამოკიდებულებით ნაცმოძრაობის ხელისუფლება იყო გამორჩეული: ექსპრეზიდენტი სააკაშვილი პირდაპირ აცხადებდა — საქართველოში ნავთობი არ არისო, თუმცა კი, სრულიად გაურკვეველია, თუ რა ინფორმაციას ეყრდნობოდა ამ კატეგორიული მტკიცებისას.

მას შემდეგ, რაც ქართველმა მენავთობეებმა უმაღლესი ეშელონის სახელმწიფო მოხელეებში ვერავითარი მხარდაჭერა ვერ ნახეს, რა გასაკვირია, რომ 2006 წლის მაისში მათ დახმარების თხოვნით სრულიად საქართველოს უწმინდესისა და უნეტარესის, კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს მიმართეს, რომელთანაც ნავთობისა და გაზის დროებითი კომისია შეიქმნა ზურაბ მგელაძის ხელმძღვანელობით. წარდგენილი პროექტის განხილვის შემდეგ იმავე წლის დეკემბერში მისი დაფინანსების საკითხი გადაწყდა. დაძაბული მუშაობის შედეგად შეიქმნა ორნაწილიანი ანალიტიკური დასაბუთება — „საქართველოს ნავთობგაზმომპოვებელი დარგის მდგომარეობა და მისი პოტენციური პერსპექტივები“ და „საკუთარი ნავთობი და გაზი — საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფუძველი“.

აღნიშნული დროებითი კომისიის მიერ შემუშავებულ დარგის „ეროვნული სახელმწიფო კონცეფციის“ ძირითად პრინციპებში, კერძოდ, ნათქვამია:

„ამ სიმდიდრის სწრაფად, ეფექტიანად და მცირე დანახარჯებით ასათვისებლად საჭიროა: 1. საბჭოური წარმოდგენის უარყოფა საქართველოში ნავთობისა და გაზის პოტენციალის სიმცირის შესახებ; 2. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება სისტემური „კომპიუტერული მოდელირების საფუძველზე“... და „დარგის ინოვაციური განვითარების გზაზე გადასაყვანად, მიზანშეწონილია, შეიქმნას სპეციალიზებული სახელმწიფო სამსახური, რომლის ამოცანა უნდა იყოს მარტო ნავთობისა და გაზის საძიებოსადაზვერვო და საექსპლოატაციო სამუშაოების ეფექტიანობის ზრდა“.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სპეციალიზებული საკოორდინაციო-ანალიტიკური სამსახურის შექმნის შემდეგ, ქვეყანაში ნავთობის მოპოვების დაწყებიდან მეოთხე-მეხუთე წელს, ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ათასი ტონა „შავი ოქროს“ ამოღებაა მოსალოდნელი, ხოლო მეექვსე-მეათე წლებში ეს მაჩვენებელი რამდენიმე მილიონ ტონამდე უნდა გაიზარდოს.

როგორც ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, ნავთობგაზმომპოვებელი დარგის განვითარების სამომავლო პროგნოზები დიდი იმედის მომცემია, სპეციალისტები უტყუარ მონაცემებს სთავაზობენ ხელისუფლებას, ამდენად ახლა ჯერი მასზეა. მთავრობის პოზიტიური მოქმედების იმედს კი ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალიების არსებობა გვიძლიერებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

გასული საუკუნის 90-იან წლებში დადგინდა, რომ საქართველოში ნავთობის საპროგნოზო მაჩვენებელი 2 მილიარდ 400 მილიონი ტონაა (მათ შორის, დაახლოებით ნახევარ-ნახევარი ხმელეთსა და საზღვაო შელფზე). ასევე საპროგნოზო მონაცემებით, გაზის მარაგი 180 მილიარდი კუბური მეტრია. ამდენად, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ნავთობის რესურსები მეტია, ვიდრე ზოგიერთ ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში, მათი ნახევრის მოპოვებაც კი ქვეყანას რამდენიმე ასეული მილიარდი დოლარის შემოსავლის მიღების შესაძლებლობას მისცემს.

ევროპის მოტაცება

ყველაფერი ბელარუსში დაიწყო. დემოკრატიის განვითარების შენელება სულ უფრო თვალშისაცემი ხდება. Freedom House-ის თანახმად, შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც ყველა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები გარანტირებულია. ეს ტენდენცია უკვე ზედიზედ მეექვსე წელია, შეიმჩნევა.

დიდწილად ეს იმის ბრალია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. იზრდება განცდა, რომ ევროპა კარგავს იმ პრინციპებისადმი ერთგულებას, რომელზეც დგას, ასევე სუსტდება ემოციური კავშირი უახლეს ისტორიასთან, ევროპული ფასეულობებისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიასთან.

იმედისმომცემი წარსული

ევროპის გაერთიანების წარმატებული ისტორია პოლიტიკურ ორიენტირად ვეღარ გამოდგება. აღმოსავლეთ ევროპას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდხანს აღარ უფიქრია ყოფილი იმპერიის აჩრდილზე და მტკიცედ შეტრიალდა ნატოსა და ევროკავშირისაკენ. ევროკავშირმა საკუთარ რიგებში მიიღო პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვენია, ბულგარეთი, რუმინეთი. რეალობამ ყველაზე თამამ პროგნოზებსაც კი გადააჭარბა, პროგნოზებს, რომლებიც ევროპულ კონტინენტზე დემოკრატიულ სამყაროს, პროგრესსა და ადამიანის უფლებებს უკავშირდებოდა. ერთიან და თავისუფალ ევროპაზე ოცნება რეალური გახდა.

1990-იან წლებში ჯერ კიდევ არსებობდა განცდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გაჰყვებოდნენ სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკები, ყოველ შემთხვევაში მისი ევროპული ნაწილი მაინც. ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი დრო ყოფილი სსრკ-ის ევროპულ ნაწილში დემოკრატიის ინსტიტუტების შექმნისა და განვითარებისთვის. და მართლაც, ბელარუსში, უკრაინაში, რუსეთში გაჩნდა ბევრი დასავლური არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდასაჭერად. მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათი საქმიანობა წარმატებული ვერ აღმოჩნდა.

ახალი ათასწლეულის დასაწყისში ევროპას ამერიკის შეერთებული შტატები სჭირდებოდა, მათ შორის, ევროკავშირში ახალი წევრების მისაღებად, მხარს უჭერდა აშშ-ის პოლიტიკას, რომლის მთავარი საგარეო-პოლიტიკური პოსტულატი დემოკრატიის გავრცელება იყო. ასეთი პრინციპული სოლიდარობით ევროპამ მხოლოდ მოიგო, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, რომლებმაც ევროპაში დაბრუნება შეძლეს.

დღეს ყოფილი სსრკ-ის მთელ ტერიტორიაზე დემოკრატიული ფასეულობებისაგან აშკარა უკანდახევაა. ხოლო დასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი პარტნიორები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მთელი თავიანთი საქმიანობის განმავლობაში დღეს ყველაზე დიდი ზეწოლის ქვეშ არიან.

სამწუხარო აღმყო

დღეს აშშ დაშორდა არა მხოლოდ დემოკრატიის გავრცელების და მხარდაჭერის პროცესს ზოგადად, არამედ დემოკრატიის განვითარების და ხელშეწყობის პროცესს ევროპაშიც. ჩვეულ „უსაფრთხოების პარადიგმასთან“ დაბრუნებასა, რომელიც არ გულისხმობს აქცენტს ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე, მოჰყვა ის, რომ აშშ-ს ურთიერთობა აქვს, და ზოგჯერ ძალიან მჭიდროც, არათავისუფალი ქვეყნების ნახევარზე მეტთან. ამიტომ, „არაბული გაზაფხული“ აშშ-ისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და დამატებითი პრობლემები გაუჩინა არა მხოლოდ მას და ევროპას, არამედ მთელ მსოფლიოს. როგორიც არ უნდა იყოს „არაბული გაზაფხულის“ მიზეზები, ეს იყო აჯანყება ტირანების — დასავლეთის პარტნიორების — წინააღმდეგ.

ევროპა დღეს იმავე შეცდომას იმეორებს. ის უბრუნდება წინა საუკუნის შეფუთვის, ორი სისტემის, ორი იდეოლოგიის დაპირისპირების ეპოქის „რეალპოლიტიკის“ პრინციპებს. ეს ყველა შესაძლო ვარიანტებიდან ყველაზე დამღუპველი გზაა. მას მოჰყვება ღალატი დემოკრატიული მოძრაობებისა იმ ქვეყნებში, რომლებიც ავტორიტარულ და დიქტატორულ რეჟიმებში ცხოვრობენ.

ასეთი გადახვევის ერთ-ერთი არგუმენტი ცრუ მოსაზრებაა იმის თაობაზე, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება დასავლეთის გავლენას და მასთან დაპირისპირებისთვის სხვადასხვა ზომებს მიმართავს. შესაბამისად, ევროპა ცდილობს, რუსეთს და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაპირისპირების ნებისმიერი ნიშანი ამოიცნოს და ხელი შეუწყოს ამ დაპირისპირებას.

ის, რომ ასეთი რეჟიმებისათვის რუსეთთან დაპირისპირების დახმარებით ევროკავშირი მათ ტოტალიტარიზმს აშორებს, საბედისწერო შეცდომაა.

სინამდვილეში, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთს არ ებრძვიან, მათ ალტერნატიული მოდელი შექმნეს და თანმიმდევრულად ამყარებენ მას რუსეთის წამყვანი როლის პირობებში და დასავლეთის „რეალპოლიტიკის“ დახმარებით. როგორი პრობლემებიც არ უნდა ექმნებოდეთ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს რუსეთთან, ამ რეჟიმების ბუნებაზე თვალის დახუჭვა და მათი მხარდაჭერა მხოლოდ რუსეთთან უთანხმოების გამო — დამღუპველია ამ ქვეყნების ღირებულებათა სისტემისა და მომავლისათვის.

ავტორიტარული მოდელი დღეს გაცილებით მიმზიდველია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მმართველი ჯგუფებისათვის, ვიდრე დასავლური დემოკრატია. ისინი სწორედ ამ გზას ადგანან და არ აპირებენ არანაირი დასავლური დემოკრატიების ნებაყოფლობით გაზიარებას. რატომ? ლიბერალიზაცია და დემოკრატიზაცია მათ ძალაუფლებას დააკარგვინებს, ევროპასთან კი ყოველთვის შეიძლება მოლაპარაკება და ორმხრივი ურთიერთობებიდან ისეთი სისულელეების გამორიცხვა, როგორიცაა ადამიანის უფლებები. საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევისათვის მათ პრობლემა არ ექმნებათ, ევროკავშირის პოლიტიკის ზემოქმედებით გარდაქმნას ისინი არ აპირებენ, რადგან ეს სახიფათოა მათი დიქტატორული რეჟიმებისათვის.

პოსტსაბჭოთა ავტორიტარიზმი საბჭოთა კავშირზე შორს წავიდა. ყოფილი ზესახელმწიფო საზღვრების პრინციპს იცავდა. დასავლეთთან დაპირისპირება „მესამე სამყაროში“ მიმდინარეობდა და არა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. დასავლეთ ევროპაში სსრკ ტრადიციული მეთოდებით მოქმედებდა: ჯაშუშობა, პროპაგანდის მცდელობები, კომუნისტების მხარდაჭერა.

დღეს ყველაფერი შეიცვალა. პოსტსაბჭოთა ავტორიტარიზმმა ევროპის სისუსტე იგრძნო და სულ უფრო ენერგიულად ცდილობს მასში საკუთარი თამაშის წესების დამკვიდრებას. შესაძლოა, ეს ჯერ არ ჩამოყალიბებულა შეგნებულ სტრატეგიად, მაგრამ „ევროპის მოტაცების“ მასშტაბი და ეფექტურობა შთამბეჭდავია.

საშიში მომავალი

ყველაფერი ფულადი ინვესტიციებით დაიწყო. პოსტსაბჭოთა „ნუვორიშები“ დასავლეთ ევროპისათვის სასურველი კლიენტები გახდნენ. დასაწყისში ისინი ჩამოდიოდნენ უბრალოდ გასართობად და „მათი“ ცხოვრებით ტკბობისათვის, ნელ-ნელა კი აცნობიერებდნენ, რომ არ იყო საჭირო სულელურ პირობითობაზე მორგება, ხოლო ფული იძლევა იმის საშუალებას, რომ მოიქცე როგორც გინდა და დაარღვიო ნებისმიერი კანონი.

დღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბიზნესები ყველა ევროპულ ქვეყანაშია. ამის ნათელი მაგალითია ლონდონი, სადაც რუსული კაპიტალი მყარად დაფუძნდა. თითქოს, ნორმალური, პროგრესული მოვლენაა, რომ არა ის გარემოება, რომ პოსტსაბჭოთა ტერიტორიებზე ბიზნესი ევროპაში მიღებულ კანონებს და თამაშის წესებს არ აღიარებს. ამ ბიზნესმა ევროპაში საეჭვო სქემები, უკონტროლო სწრაფი ფულის შესაძლებლობა და კორუფციული პრაქტიკა მოიტანა; და შესაბამისი გავლენა ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკაზე, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიმართ.

ბიზნესს ლობირება სჭირდება, რასაც უმალ შეუდგნენ პოსტსაბჭოთა ბიზნესმენები და პოლიტიკოსები ევროპაში, ბუნებრივია ევროპელი პოლიტიკოსების და პარლამენტარების საშუალებით. რიგა ლობირებს ევროკავშირში სანქციების შესუსტებას, რათა ნავთობპროდუქტების ექსპორტი ლატვიის პორტების გავლით უზრუნველყოს. გერმანიის ყოფილი კანცლერი შროიდერი დასავლეთთან მთელი ძალით გაჩაღებული „ენერგეტიკული“ ომების დროს „გაზპრომში“ იწყებს მუშაობას.

ევროპის „მოტაცების“ მიზნით მასში შეღწევის შემდეგი საფეხური ინტელექტუალურია. დასავლეთში ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის ან მხარდაჭერის ფუჭი მცდელობების შემდეგ, რომლებიც შესაბამისი პროპაგანდით დაკავდებოდნენ, რუსეთმა და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ დაიწყო მარტივად გადაბირება და ყიდვა ანალიტიკოსების, ჟურნალისტების, რომლებმაც — სრულად ფლობდნენ რა ცოდნას დასავლური რეალიების შესახებ — დაიწყეს ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების ინტერესების დაცვა.

ძვირადღირებული პიარსააგენტოები ენთუზიაზმით იღებენ შეკვეთებს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მმართველი ავტორიტარული რეჟიმებისაგან და ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ ევროპამ არ მიაქციოს ყურადღება ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებების დარღვევას. ლორდ ბელის სააგენტომ ერთ დროს სიამოვნებით დაიწყო მუშაობა ლუკაშენკოს ინტერესების მომსახურებაზე დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში.

ასეთი გავლენის დამაჯერებელი მაგალითია მაგნიტსკის კანონი, რომელიც მიღებულია აშშ-ში და რომლის მიღებაც ძალიან არ უნდა ევროპას, რათა არ გაიფუჭოს ურთიერთობა რუსეთთან.

ამ ყველაფერს ყურადღებით აკვირდებიან დიქტატორები მთელი მსოფლიოდან. მათთვის საბედნიეროდ, ევროკავშირის სასამართლომ განსახილველად მიიღო „შავ სიაში“ შეყვანილი ბელარუსის დიქტატორული რეჟიმის წარმომადგენელთა სარჩელები. ეს ადამიანები საკუთარ თავს უწოდებენ ჟურნალისტებს ან საარჩევნო კომისიების წევრებს, ასევე ბიზნესმენებს, რომლებიც დიქტატურას ემსახურებიან, და მოითხოვენ ამოშლას ამ სიებიდან.

ევროპული დემოკრატია შიდა მოხმარების საშუალებად იქცა. ევროპის შიგნით ის მოქმედებს და მას სიამოვნებით იყენებენ პოლიტიკოსებიც, ჟურნალისტებიც, მთავრობის ჩინოვნიკებიც, და რიგითი მოქალაქეებიც, ხოლო ევროკავშირის საზღვრებთან ის აღარ მოქმედებს.

ევროპის შიგნით დემოკრატიის პრინციპები დაცულია. დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა იცავს ადამიანის უფლებებს, როგორც სხვადასხვა პირების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო ხელყოფისაგან. სამაგიეროდ, საზღვრებს მიღმა შეიძლება პრინციპების დავიწყებაც და დიქტატორებთან ურთიერთობაც. იმას, რასაც ვაცლავ ჰაველმა „დიქტატორების „დაშოშმინების“ ავბედითი პრაქტიკა“ უწოდა, დღეს „ჩართულობის პოლიტიკას“ ეძახიან. სწორედ ეს არის დღეს ევროკავშირის პოლიტიკა ლუკაშენკოსთან ურთიერთობაში, რომლის რეჟიმიც პასუხისმგებელია ოპოზიციის ლიდერების, ჟურნალისტების გაძარცვასა და მკვლელობებზე, ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებზე, ნაციონალური კულტურის, ისტორიის, ენის განადგურებაზე.

ყველაფერი ბელარუსში დაიწყო

მე დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის „მოტაცება“ ლუკაშენკოთი დაიწყო. ბელარუსში სწორედ 1990-იან წლებში, როდესაც ევროპა დიდებული იმედების, გაფართოებისა და საერთო ფასეულობების საუკეთესო პერიოდს განიცდიდა, საფუძველი ჩაეყარა ევროპის უკანასკნელ დიქტატურას. 1996 წელს რეფერენდუმს ამოფარებულმა ლუკაშენკომ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და ხელში ჩაიგდო ხელისუფლება. ევროკავშირმა ამ ფაქტს უპასუხა იმით, რომ მინსკთან ურთიერთობები გაყინა და მომავალი სამართლიანი არჩევნების იმედს იტოვებდა. 1999 წელს მოკლეს ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც ხალხში პოპულარობით სარგებლობდნენ და მათი მხარდაჭერა ჰქონდათ. ესენი იყვნენ გენადი კარპენკო, იური ზახარენკო, ვიქტორ გონჩარი. ყველა მათგანი დაამარცხებდა დიქტატორს არჩევნებში. ევროპამ არაფერი იღონა. ევროპის საბჭომ საკუთარი გამოძიება ჩაატარა, მაგრამ მკვლელობებიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში კი ბელარუსში დიქტატორი მეთოდურად და გეგმაზომიერად აშენებდა ყველაზე სასტიკ, ტოტალიტარულ სისტემას დღევანდელ ევროპაში.

ბელარუსში დიქტატორული მმართველობის დროს გამოცდილ ხერხებსა და მეთოდებს ყურადღებით სწავლობდნენ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა რეჟიმები, განსაკუთრებით რუსეთი; და არა მხოლოდ სწავლობდნენ, არამედ იყენებდნენ კიდეც. ძალიან აშკარაა, თუ როგორ აქტიურად ინერგება დღეს რუსეთში ლუკაშენკოს პრაქტიკა. მათ შორის, ჩანს ევროპასთან ურთიერთობის აღდგენის სისწრაფეც მორიგი, კიდევ უფრო მწვავე კონფლიქტის შემდეგ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპამ შექმნა ლუკაშენკო, ლუკაშენკომ კი — პუტინის რუსეთი.

არანაირი „რეალპოლიტიკა“, არანაირი „ჩართულობა“ და შეთამაშება დიქტატორულ რეჟიმებთან არ შექმნის ევროპისათვის პროგნოზირებად და უსაფრთხო სამეზობლოს. ამ რეჟიმების „ჩართულობა“ მათ ლეგიტიმაციას სძენს და კარს უხსნის ევროპის შუაგულისკენ, სადაც მათი გავლენით ფასეულობების ეროზია მიმდინარეობს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში დღეს უფრო ნაკლები თავისუფალი ქვეყანაა, ვიდრე ხუთი წლის წინათ.

მხოლოდ დიქტატურის პრინციპული შეფასება, ძლიერი და თამამი პასუხი დიქტატორული და ავტორიტარული რეჟიმების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევაზე და დემოკრატიული მოძრაობების მტკიცე მხარდაჭერა შეაძლებინებს ევროპას საკუთარი ფასეულობების დაცვას და ახალი კონფლიქტებისა და „ცივილიზაციათა შეტაკებების“ თავიდან აცილებას.

ანდრეი სანიკოვი,
სამოქალაქო კამპანია „ევროპული ბელარუსის“ ლიდერი, 2010 წლის არჩევნების საპრეზიდენტო კანდიდატი

EUOBSERVER

◎ ამირანის მოსაგონარი



სანამ იყო, ნიჭი ღვარა...

ღვარა და აფრქვია მამულის სიყვარულის ნიჭი, კაცთმოყვარეობის ნიჭი, პოეტური აღმაფრენის ნიჭი, კარგი, მამაკაცური მოლხენის ნიჭი... ეეეე... უთავბოლოდაც ღვარა... ჩვენი ამირანი, ჩვენი ამირან ასანიძე, პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი... ერთხანს, „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ რომ მუშაობდა სტილისტად... გვახსოვს, ვიგონებთ, ხსოვნის საადღეგრძელოსაც ვამბობთ ხოლმე... ამჯერად კი მისმა ძმამ ბადრი ასანიძემ გაგვახსენა ამირანი. მოვიდა იგი რედაქციაში კრძალვით, მორიდებით, 28-ში ამირანი 70 წლისა გახდებოდაო, გვითხრა და თან ნაადრევად წასული ძმის ლექსების, უკრაინული მოთხრობების და მოგონებების მომცრო კრებული გვისახსოვრა, ამ დღეებში რომ გამოუციათ ბადრი ასანიძეს, მის კარგ ვაუს ვახტანგს და ნუგზარ იაშვილს... ასეა – ძმა ძმისთვის...

...ჩვენ თანაკურსელები ვიყავით. 1960 წელს ერთად ჩავაბარეთ მისაღები გამოცდები დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამირანი სიბეჯითით გამოირჩეოდა, ჰოდა, იმ წლებში, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უნივერსიტეტების სტუდენტთა გაცვლა-გამოცვლა რომ დაიწყო, ამირან ასანიძე რამდენიმე სტუდენტთან ერთად კიევის უნივერსიტეტში მიავლინეს. ამირანმა ბრწყინვალედ შეისწავლა უკრაინული ენა, ჩამოვიდა, თარგმნიდა და ბეჭდავდა გამოჩენილი უკრაინელი პოეტების – ტარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, პავლო ტიჩინას, ვლადიმერ სოსიურას და სხვათა ნაწარმოებებს (მთარგმნელობით კოლეგიაში მოღვაწეობდა ერთხანს), მაგრამ მისი მთავარი საქმე მაინც ივან კოტლიარევსკის „ენეიდას“ თარგმნა იყო. დიდი შრომა ჩადო, ასწია „საჯილდაო ქვა“, გაასრულა ეს საქმე და თარგმანი ვის აღარ გააცნო ჩვენთანაც და უკრაინაშიც, ზოგი დაჰპირდა გამოცემას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, ამირანი ვერ მოესწრო „ენეიდას“ წიგნად აკინძვას.

და აი, ისევ ძმამ – ბადრიმ ითავა „ენეიდას“ – ქართული მთარგმნელობითი სკოლის, ქართული კულტურის ჭეშმარიტად ბრწყინვალე შენაძენის, წიგნად გამოცემა. მეტი რომ ვერ მოახერხა, მწირი შესაძლებლობებით, სულ 50 ცალად გამოსცა!.. სულ 50 ცალი!.. მე პირადად მოწმე ვარ, ორი წლის წინათ რა მადლიერებით, რა აღფრთოვანებით განიხილა ეს წიგნი უკრაინის საელჩომ. სხვათა შორის, უკრაინელმა მეგობრებმა იმ დღეს პირობა დადეს, აუცილებლად დიდი ტირაჟით გამოვცემთ ამირან ასანიძის თარგმნილ „ენეიდასო“...

...ამირანის მომცრო კრებულისთვის „ჰე, მამულო“ დაურქმევიათ გამომცემლებს. იგი ამირანის შემოქმედების ამსახველი თითქმის სრული კრებულია. აქ საკუთარი ლექსების გვერდით წარმოდგენილია ცნობილი უკრაინელი მწერლების ა. ასანიძის მიერ თარგმნილი მოთხრობები. წიგნში არ შევიდა „ენეიდა“ და, აგრეთვე, ბელორუსი პოეტის გუსოვსკის „სიმღერა დომბაზე“. კრებულში ვერ მოხვდა ამირან ასანიძის სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნებული ლიტერატურული წერილებიც... სამაგიეროდ, გამომცემლებს კრებულში შეუტანიათ (და კარგადაც მოქცეულან) ამირან ასანიძის არსებობის მეორე მხარე – მახვილგონივრული ექსპრომტებისა და ეპიგრამების დიდებული თხზვის უნარი, უზადო იუმორი... თვითირონია...

... და გავიხსენეთ ამირან ასანიძე – სიყვარულის კაცი, ნიჭით სავსე კალმის კაცი, რომლის ლიტერატურულ ნაღვაწს, მეტადრე, ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას, დამფასებელი არასდროს მოაკლდება!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ სულიერება

მონიწებული ბარათი ჯვარელებს!

აცხონოს ღმერთმა და, ერთი კოლორიტული ჯვარელი კაცი, ისტორიისა და პოეზიის ტრფიალი, გაჯი სამუშია ამბობდა: – უხსოვარ დროში, ბაბუაჩემის ბაბუა, პაპუჩემი აქ, ენგურისა და ლეკერას შესართავთან დასახლებულაო. ერთხელ, ლეკერა ადიდებულა, ნაპირი გაურღვევია და ამ „მონგრეულ მიწაზე“, უძველესი ბალავრის ნარჩენები გამოჩენილაო! მერე, დროთა განმავლობაში, ლეკერის ნატანს ისევ ამოუვსია აქაურობა... სწორედ აქ სახლობენ ახლაც იმ დიდი პაპუსა და პეპუს ნაშიერნი! ის უძველესი ნაგები კი, ვინ იცის, რამდენი მეტრით დაფარა მდინარის ჩამონატანმა ქვა-ღორღმა?... ოღონდ ერთი კია, მეც მახსოვს, ბაბუაჩემის მონაყოლი, – თურმე, სვანეთისკენ მიმავალ ანდრია პირველწოდებულს პირველად აქ აღუმართავს ჯვარი და მოუნათლავს ხალხი! მას მერე ჯვარი ეწოდა ამ არეს!...

„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა გაჯიმ და ამ ამბავს რომ ჰყვებოდა, პოემის სტროფებით ალამაზებდა სათქმელს.

ყოველ ლეგენდას სინამდვილე ასაზრდოებს, მაგრამ ამას თავი რომ დავანებოთ,– ფაქტია, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იქადაგეს ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში წმინდა მამებმა და ენგურის ხეობაშიც ამ პერიოდისათვის შემოაბიჯა მართლმორწმუნეობამ, ალბათ! ქრისტიანობას თან მოჰყვა წმინდა მადლი და ბოროტ სულებთან მებრძოლ მხედართა ჯიღა! და, თანდათანობით, ხალხში მტკიცდებოდა რწმენა ჭეშმარიტებისა! მაშინ კი. როცა წმინდა გიორგის შემართება მოეფინა ქვეყნიერებას, ჯვარელებმა ჯვარის ველზე (ჯვარის რზენში), მას წმინდა საყდარი მიუძღვნეს, – „ჯგეგეს“, „ჯგირი გიორგის“ – „კარგი, წმინდა (გმირი) გიორგის“ სახელობისა! როგორც ამას ზოგიერთი თვალმახვილი მეცნიერი ვარაუდობს, ეს მოხდა მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებში! მართალია, ამ მოვლენას, ზოგიერთი, საქმეში არც ისე ჩახედული „მეცნიერი“, მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებს მიაკუთვნებს, მაგრამ ეს სხვა საკითხია! ეტყობა, სალოცავის ხელახლა აღორძინებას გულისხმობს, მით უფრო, რომ „ჯგეგეს“ არემარეში უძველეს ნაგებობათა ნაშთები დღემდეა შემორჩენილი და თუ, გულდადობილი არქეოლოგები გამოიკვლევენ აქაურობას, ბევრ „ბუნდოვანებას“ მოჰფენენ ნათელს!

მაგრამ ჩემი მთავარი სათქმელი ამჟამად, ეს არ არის მხოლოდ!

სამწუხაროდ, მე მრცხვენია და ამას ვჩივი!

მრცხვენია, რადგან, ჩემმა ჯვარელებმა 1932 წელს, იმის ნაცვლად რომ აღედგინათ, არსებული ცენტრალურ-ჯვარგუმბათოვანი საგანძური, რომლის მსგავსი თითზე ჩამოსათვლელიც არ არის ქართულ ხუროთმოძღვრებაში, დაანგრიეს! ამ „გმირობის“ მონაწილეებმა კი ამაყად ასახეს ფოტოზე ეს „გმირობა“ და შთამომავლობას არქივებში დაუტოვეს თავიანთი „საქმენი საგმირონი“! დაუტოვეს და მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, ცნობილმა ჟურნალისტმა გვანჯი მანიამ გამოამზეურა იგი!

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან ჯვარშიც დაიწყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე ფიქრი. მთელი ჯვარისა და „ცოდვილი“ ჯვარელების შთამომავალთა თანადგომით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მადლცხებით, მეუფე იოაკიმემ, 1990 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, აკურთხა ჭანტურიების (ყოფილი მოძღვრების) გვარის ეზო-კარ-მიდამოში გახარებული კედრის ხისგან გამოთლილი ჯვარი და აღიმართა იგი „ჯგირი გიორგის“ ეკლესიის ნანგრევებზე შემორჩენილ საკურთხეველთან!

დაიწყო ოფიციალური ქმედებები! ეკლესიის ნანგრევების ირგვლივ და ეკლესიის კედლებთან დასაფლავებულთა ჭირისუფლებმაც მადლი მოახსენეს უფალს პატივისათვის!

დიდი ზეიმი იყო იმ დღეს ჯვარში! ზეიმი სულიერებით აღსავსე და აღმატებული! მთელი ჯვარი ვიდექით ერთად და მე წილად მერგო ბედნიერება, ვიდეოფირზე დამეფიქსირებინა ეს ღირსშესანიშნავი დღე! (ფირი დღესაც ინახება ჩემს არქივში!).

გვანჯის მეცადინეობით, მეცნიერ-არქიტექტორებმა აღადგინეს პროექტი, მოხდა აზომვები, დაზუსტდა ნახაზები და საქმე, თითქოს და, დაადგა გზას! მაგრამ...

უბედურება დაატყდა საქართველოს!!... გარდა ამისა, ერთი და ორი ადამიანის მცდელობა საკმარისი არ აღმოჩნდა ბოლომდე მისულიყო ჩანაფიქრი! მიზეზთა და მიზეზთა გამო, საქმე „ხვალისთვის“ გადაიდო! ამასობაში გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი ლევან მატუა, რომელმაც ჯვარში, იქვე, „ჯგეგედან“, სულ რაღაც, ორიოდე კილომეტრში, მამა-პაპათა ნაკურთხ მიწაზე, აღმართა უმშვენიერესი ტაძარი, ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამონასტრო კომპლექსი და მასში დედათა სავანემ დაიდო ბინა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ უბიძგა ჯვარელებს კეთილი საქმისაკენ: – კვლავ დაიწყო ფიქრი „ჯგეგეს“ აღორძინებაზე და მე ახლა სიამაყით მაქვს გული სავსე.

ახლა ჯერი ჩვენზეა, ჯვარელებო! – სადაც უნდა ვიყოთ, სოფელში თუ ქალაქად, ძალიან შორს თუ უფრო ახლოს, მოდით, ვისაც როგორც შეგვიძლია, ხელის გულზე დავისვენოთ ქველმოქმედება და მოწიწება მივაგოთ უფალს!

დღევანდელმა ჯვარელებმა სინანულით მოვიხოცოთ უგუნურთა „ნაღვაწი“ სირცხვილი!

ამ იმედით ვაქვეყნებ ამ მოკრძალებულ ბარათს!

ზაურ ფიფია.

◎ გამოფენა

„პირველად უნდა გიყვარდეს...“

ამ დღეებში, 22-24 ნოემბერს, საქართველოს მწერალთა სახლის საგამოფენო დარბაზი ახალგაზრდა მხატვრის გეგა ქუთათელაძის ნამუშევრების გამოფენას დაეთმო.



გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა, მათ შორის ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამოჩენილი წარმომადგენლებიც იყვნენ – მაყვალა გონაშვილი, გივი თოიძე, ვაჟა აზმაიფარაშვილი, 94 წლის პროფესორი ტარიელ ქუთათელაძე და სხვები.

და რაც პირადად ჩემთვის ერთობ სასიამოვნო იყო, ახალგაზრდა მხატვრის გამოფენას ბევრი ახალგაზრდა დამთვალიერებელიც ჰყავდა, რამაც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქართული გენის გადარჩენის ლამის თვალსა და ხელს შუა გამქრალი იმედი კიდევ ერთხელ დამიბრუნა.

– გეგამ, – განაცხადა საქართველოს სახალხო მხატვარმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა გივი თოიძემ, რომელმაც პროფესიულად შეაფასა გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები, – თავისი ნიჭიერად გადაწყვეტილი კომპოზიციებითა და გრაფიკული ნამუშევრებით ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მიიპყრო. დღეს კი გეგა შემოქმედების სხვა საფეხურზეა ასული, მეტად საინტერესო და ნიჭიერი მხატვარია...

ხელოვნების ნიმუშის მომაჯადოებელ ძალას, მის დადებით ზემოქმედებას გრძნობს ყველა, როდესაც არაჩვეულებრივია ასახვის ხარისხი. მხოლოდ საგანი ვერ უზრუნველყოფს მხატვრის წარმატებას, მთავარია, როგორ ხატავს ის.

გეგა ქუთათელაძის ნახატებში არაჩვეულებრივადაა ასახული განცდილი და გადატანილი. მისი ნახატები უსიტყვოდ გადმოგვცემენ ქვეყნისა თუ ადამიანის სატკივარს, ყოფით რეალობას.

გეგას მამა, ნიჭიერი პოეტი ბადრი ქუთათელაძე თორმეტი წლის ასაკში ხატვით გატაცებულ შვილს ასე მიმართავდა:

ხატვისთვის, ჩემო ბიჭუნავ,
სასჯელს არავინ დაგადებს,
პირველად უნდა გიყვარდეს
და მერე უნდა ხატავდე!..

დიახ, ნიჭთან ერთად თავისი პროფესიის, ასევე, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული ის აუცილებელი პირობაა, ურომლისოდაც ვერ შეიქმნებოდა გამოფენაზე წარმოდგენილი ხელოვნების ისეთი ნიმუშები, რომლებიც ასე ხიბლავენ ყველა თაობის დამთვალიერებელს.

ხელოვან ადამიანებს სწამთ, რომ ნიჭი, მშვენიერება და სიბრძნე არავის ემორჩილება, უკვდავია დროსა და სივრცეში, ძალადობა კი – წარმავალი.

სულისა და სხეულის სიძლიერეს, ახალ შემოქმედების წარმატებებს ვუსურვებ ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდა მხატვარს გეგა ქუთათელაძეს.

ცისანა ბერულავა

სურათზე: პორტრეტი; გეგა ქუთათელაძეს მიესალმებიან გივი თოიძე და მაყვალა გონაშვილი.

◎ ჭადრაკი

ქართველები ამერიკაში

სამი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა დალასში (აშშ) გამართულ ორ წრიულ საერთაშორისო ტურნირში, რომლებსაც ტეხასის უნივერსიტეტმა უმასპინძლა. დიდოსტატთა ტურნირში გიორგი მარგველაშვილმა რვა ყაიმითა და ერთი მოგებით 5 ქულას მოუყარა თავი და მე-5 ადგილი დაიკავა. პირველ-მესამე ადგილებზე ხულიო სადორა (6.5), ლეონიდ კრიტსი (5.5) და კონრად ჰოლტი (5.5) გავიდნენ.

ოსტატთა ტურნირში ორი ჩვენებური გამოდიოდა. თამაზ გელაშვილმა 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. 8,5 ქულით მთავარი პრიზი ალექსანდრ ლენდერმანმა (აშშ) მოიპოვა. 5 ქულით მესამე ადგილი მარიამ დანელიას ერგო.

გივი გაგუა

სურათზე: თამაზ გელაშვილი.

◎ ბატუტზე ხტომა

საევროპედ მზადება დაიწყეს

ამბას წინათ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატში 16-წლამდელთა სინქრონული ხტომები თეონა ჯანჯღლავამ და ანა ოდიშვილმა (ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი, მწვრთნელი ლია ხრიკული) მოიგეს. ეს დუეტი 2008 წლიდან გამოდის სარბიელზე. ანამ და თეონამ თანატოლებში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე მიაღწიეს წარმატებას. ოდიშვილმა 2009 წელს სანკტ-პეტერბურგის მსოფლიოს პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, 2010 წელს მეცში (საფრანგეთი) მსგავს შეჯიბრებაზე თანატოლებს შორის ოქროს მედალი დაიმსახურა, თან 13,3 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიში შეასრულა, რაც მის ასაკში, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო. 2011 წელს ინგლისში მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე იგი პირველი იყო, მაგრამ ფინალში მე-4 ადგილს დასჯერდა, ხოლო სინქრონულ ხტომებში თეონასთან ერთად მეხუთე ადგილზე გავიდა; შარშან ევროპის ჩემპიონატზე 18-წლამდელებში 13 წლის ანა ოდიშვილმა ყველაზე რთული ვარჯიში შეასრულა, მაგრამ მცირედი ხარვეზიც საკმარისი აღმოჩნდა, მე-5 ადგილზე გასულიყო. და აი, ანამ და თეონამ სოფიაში მიაღწიეს საწადელს. ახლა ისინი საქართველოს ნაკრების სხვა წევრებთან ერთად უკვე ემზადებიან 2014 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც აპრილში პორტუგალია უმასპინძლებს. იქაური შედეგები გადაწყვეტს, თუ ვინ მოიპოვებს გაისად ჩინეთში გასამართავი მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას. სპეციალისტებს სჯერათ, რომ ანას და თეონას საგზურის მოპოვება არ გაუჭირდებათ.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: საქართველოს ნაკრების მწვრთნელები შეგირდებთან ერთად.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ მხატვრული ტანვარჯიში

სლოვენიასა და ბელგიაში

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე სალომე ფაჟავამ (მწვრთნელები — ელისო ბედოშვილი და ლალი დოლიძე) მე-18 ადგილი დაიკავა და გაისად მსგავს შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება დაიბევა. ქართველმა ტანმოვარჯიშემ კონტინენტის პირველობის შემდეგ კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაში იყოჩაღა. მან ამას წინათ ლიუბლიანას (სლოვენია) საერთაშორისო ტურნირში გამოიჩინა თავი — მრავალჭიდში 67,450 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილებზე მონიკა ჩებაშეკი (სლოვენია, 67,350) და ელენა მილენკოვიჩი (ხორვატეთი, 58,250) გავიდნენ. ცალკეული საგნებით ვარჯიშში ფაჟავამ ორი ოქროს (რგოლი, ლენტი) და ამდენივე ვერცხლის (ბურთი, გურზები) მედალი მოიპოვა.

ბელგიაში გამართულ ახალგაზრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯა ძალები გაბრიელა ხვედელიძემ (მწვრთნელი — ბელა კობალაძე). „ბრიუსელის თასზე“ სხვადასხვა ქვეყნის 18 გოგონასთან პაექრობაში 2012 წლის ევროპის პირველობის ორი ბრინჯაოს მედლის (პირადსა და გუნდურში) მფლობელმა მრავალჭიდში 42,35 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო რუსი არინა სუდიაკინა (41,1), ხოლო მესამე ადგილი 39,5 ქულით მარია სილიანოვას (ბულგარეთი) ერგო.

ლაშა დიდია

სურათზე: სალომე ფაჟავა.

◎ ფეხბურთი

ორმაგი სტანდარტი

„ბარსელონაც“ და მადრიდის „ატლეტიკოც“ პრიმერადივიზიონის ლიდერები არიან. მართალია, ორივემ ვადამდე გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის საგზური, მაგრამ ჯგუფური რაუნდის დარჩენილ მატჩებს განსხვავებულად მოეკიდნენ. რას იზამ, წინ მომქანცველი სეზონია და ყველას ვერ მოსთხოვ ფეარპლეის პრინციპების დაცვას, მით უმეტეს, კატალონიელთა ლაზარეთი უკვე თანდათან ივსება (მესი, ვალდესი, ადრიანო, ალვეში).

კიდევ უფრო უარესად აქვს საქმე დორტმუნდის „ბორუსიას“, სადაც ტრავმების ეპიდემიამ გუნდოგანთან ერთად დაცვის მთელი ხაზი მოსრა. კრიტიკული ვითარების მიუხედავად, ლიგის უკანასკნელი გათამაშების ფინალისტს აღმოაჩნდა რესურსი, ყოფნა-არყოფნის შეხვედრაში უშუალო კონკურენტი „ნაპოლი“ დაეჩოქებინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ბაზელმა“ ზედიზედ მეორედ შეარცხვინა „ჩელსი“, ხოლო „პორტუმ“ ძვირფასი ქულები გაანიავა „აუსტრიასთან“, თანაც მეტოქეს პირველი გოლი გაატანინა მთელ ტურნირში.

„ე“ ჯგუფი. „ბაზელი“ — „ჩელსი“ 1:0, „სტიაუა“ — „შალკე“ 0:0.
„ჩელსი“ — 9, „ბაზელი“ — 8, „შალკე“ — 7, „სტიაუა“ — 3 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. „ბორუსია“ — „ნაპოლი“ 3:1,„არსენალი“ — „მარსელი“ 2:0.
„არსენალი“ — 12, „ბორუსია“, „ნაპოლი“ — 9-9, „მარსელი“ — 0 ქულა.

„ზ“ ჯგუფი. „ზენიტი“ — „ატლეტიკო“ 1:1, „პორტუ“ — „აუსტრია“ 1:1.
„ატლეტიკო“ — 13, „ზენიტი“ — 6, „პორტუ“ — 5, „აუსტრია“ — 2 ქულა.

„თ“ ჯგუფი. „აიაქსი“ — „ბარსელონა“ 2:1, „სელტიკი“ — „მილანი“ 0:3.
„ბარსელონა“ — 10, „მილანი“ — 8, „აიაქსი“ — 7, „სელტიკი“ — 3 ქულა.

გიორგი შოთაძე

დე როსი:

მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურია

„რომას“ თავდამსხმელმა დანიელე დე როსიმ „კალიარისთან“ ფრედ (0:0) დასრულებული მატჩის შემდეგ გაკეთებულ კომენტარში გუნდის მიზანზეც ისაუბრა.

„სამწუხაროდ, ქულები დავკარგეთ, მაგრამ ახლა ამაზე ნერვიულობის დრო არაა. თავდასხმის ხაზში არანაირი პრობლემა არ არსებობს. ძალიან ბევრი საგოლე შანსი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და, პირველ ყოვლისა, ამისთვის ვიბრძოლებთ. ამჟამად გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე ვართ და მეოთხე ადგილზე მყოფ გუნდს 6 ქულით ვუსწრებთ“, — უთხრა დე როსიმ იტალიურ პრესას.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

დავიდ ვილიას ცოლის ქალური საიდუმლოებები

მადრიდის „ატლეტიკოში“ მოთამაშე ესპანელი გოლეადორის დავიდ ვილიას ცოლი პატრიცია გონსალესი ორი შვილის დედაა და, მიუხედავად იმისა, რომ შეძლება მის ოჯახს ნამდვილად არ აკლია, შვილებს თავად ზრდის. ამას გარდა, პატრიცია ფიზიკურ ფორმებსაც ინარჩუნებს.

პატრიციას საკუთარი დიეტა ჰქონია და როგორც თავად ამბობს, სწორედ ამ დიეტის გამო ახერხებს მუდმივად ფორმაში ყოფნას. მისი დიეტით ესპანელი ჟურნალისტებიც დაინტერესდნენ და სთხოვეს, რომ სპეციალურ სატელევიზიო გადაცემაში მიეღო მონაწილეობა, სადაც თავისი დიეტის საიდუმლოებებზე ისაუბრებდა.

პატრიციამაც თავპატიჟდაუდებლად შეასრულა ეს თხოვნა და ესპანელ (და არამხოლოდ ესპანელ) ქალებს მუდმივად ლამაზი ტანის შენარჩუნების საიდუმლოებებზე ესაუბრა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ პირველად ქართულ ენაზე

სიზუსტე, სიმართლე, ობიექტურობა, დამოუკიდებლობა,

ანუ „რა კარგი იქნებოდა, რომ ჩემს სტუდენტობაში მქონოდა ამ ტიპის სახელმძღვანელო“

გლობალიზაციის პირობებში პრესის თავისუფლება ლოკალურ დონეზე მიიღწევა მაშინ, როდესაც შესაძლებელი ხდება შენს გაზეთში აკრიტიკო შენი გაზეთი, შენს ტელემაუწყებლობაში — შენი არხი...

თავისუფალი პრესის ერთ-ერთი პრინციპი სახელმძღვანლოდან „ჟურნალისტიკა“.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს მსურს წარვუდგინო ახლახანს უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული სახელმძღვანელო **„ჟურნალისტიკა“,** რომლის შექმნაზეც ცხრა უნივერსიტეტის ცამეტი პროფესორი მონაწილეობდა (მათ შორის ერთი ფრანგი პროფესიონალი, **ჟიულ რუე,** რეიმს-შამპან-არდენის უნივერსიტეტის (საფრანგეთი), მატეი ბელის უნივერსიტეტის წარმომადგენელი). მათ შეძლეს თერთმეტი თავისგან შედგენილი 300-გვერდიანი სახელმძღვანელოს შექმნა და დაინტერესებული მკითხველისთვის წარდგენა. როგორც საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, ფილოლოგიის დოქტორი ქალბატონი **ნესტან ციციშვილი** (ამ შესანიშნავი სახელმძღვანელოს ერთ-ერთი რეცენზენტი ფრანგ პროფსორ **ტერი კომთან** ერთად) აღნიშნავს **„ეს გახლავთ ჟურნალისტიკაში ქართულ ენაზე შექმნილი მასშტაბური და მრავალფეროვანი სახელმძღვანელო, რომელიც პირველად მომზადდა და გამოიცა“.**

მართლაც სახელმძღვანელო უნიკალურია და მოიცავს უზარმაზარ მასალას, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს, შეიძინოს მყარი თეორიული ცოდნა, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ გამოიყენოს იგი მომავალ პროფესიაში. პროექტი მოიცავს ჟურნალისტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომლებიც წამოჭრილია მოყოლებული დაფუძნებიდან, მისი განვითარების ყველა საფეხურზე.

ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები (დაწყებული იოჰან გუტენბერგის მიერ შექმნილი პირველი სტამბიდან მოყოლებული დღემდე) მსოფლიოში და საქართველოში; ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე, XX საუკუნე და უახლესი პერიოდი); მედია და ჟურნალისტიკა, მედია და საზოგადოება, სიტყვის თავისუფლების ასპექტები, მედიის რეგულირება და თვითრეგულირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ჟურნალისტური გამოძიება და სხვა. ესაა მცირედი ჩამოთვალი იმ ქვეთავებისა, რომელიც მაღალპროფესიონალურ დონეზეა გაშუქებული სახელმძღვანელოში.

სპეციალური განყოფილება — **ჟურნალისტიკა,** როგორც სისტემა, შეიცავს ისეთ ქვეთავებს, როგორიცაა **ვიზუალური ჟურნალისტიკა** (ფოტოჟურნალისტიკა, კინემატოგრაფია, ტელევიზია), **რადიოჟურნალისტიკა; ბეჭდვური ჟურნალისტიკა და ახალი მედია** (სოციალური მედია და ბლოგინგი, ინტერნეტი). სწორედ ეს განყოფილებაა, რომელიც ყველაზე მეტად დაინტერესებს არამარტო ჟურნალისტებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც.



„ჟურნალისტიკა და, კერძოდ, თავისუფალი ჟურნალისტიკა დღეს, როგორც არასდროს, საჭირო დემოკრატიის პრინციპების დასაცავად. გლობალიზაციამ მართლაც ბევრი კარგი მოუტანა ხალხს, თუმცა, ამავდროულად გაზარდა იმ ადამიანების ძალაუფლება, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს აკონტროლებენ. ამიტომაც ყველა ქვეყანაში მოქალაქეებს სჭირდებათ თავისუფალი და მიუკერძოებელი საინფორმაციო საშუალებები, რაც ერთადერთი საშუალებაა მოვლენების სწორად აღქმის და არჩევნებზე სწორი გადაწყვეტილებების მიღებისთვის. — დარწმუნებული ვარ, სახელმძღვანელო დიდად შეუწყობს ხელს სტუდენტებს, მიიღონ ისეთი ცოდნა, რაც აუცილებელია კეთილსინდისიერ პროფესიონალებთან მათი ჩამოყალიბებისათვის — ამგვარად გამოეხმაურა სახელმძღვანელოს გამოსვლას გაეროს ჰუმანიტარული და მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში, იტალიელი დოქტორი **მარცო ბორსოტი.**

ვეთანხმები სენიორ ბორსოტის, რადგან „თქმა მართლისა“, რაც ერთ-ერთი ძირითადი, დაუწერელი კანონია ჟურნალისტისათვის, რათა მართლად და მიუკერძოებლად, სუფთა სინდისითა და პოლიტიკური ზეწოლის გარეშე ამცნოს საზოგადოებას ფაქტებისა და მოვლენების შესახებ (რაც, სამწუხაროდ, ბევრ ჟურნალისტს, არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც არა აქვს გათავისებული) უნივერსიტეტში სწავლისას უნდა შეითვისოს სტუდენტმა, მომავალმა ჟურნალისტმა და ამ სახელმძღვანელოს გამოცემაც ერთ-ერთი დროული ნაბიჯია ჟურნალისტთა პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში.

დაბოლოს, ჩემს უახლოეს მეგობარსა და კოლეგას შესანიშნავ პედაგოგსა და პროფესიონალს **პაატა ნაცვლიშვილს** დავესესხები (მან ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა აზრი ამგვარი სახელმძღვანელოს გამოცემისას) — **„იმაზე ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, რომ ან დღეს ვიყო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, ან ჩემს სტუდენტობაში მქონოდა ამ ტიპის სახელმძღვანელოl დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ამგვარი წიგნი სანატრელი ჰქონდა ჟურნალსიტიკას დაწაფებულ სტუდენტთა არაერთ თაობას“...**

მართალს ბრძანებს ჩემი უფროსი მეგობარი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის სრული პროფესორი. მე მხვდა ბედნიერება რედაქციისთვის ნაჩუქარი ერთადერთი ეგზემპლარისთვის თვალი გადამევლო. სახელმძღვანელო საზოგადოებისთვის წარდგინებამდე (რომელიც ხვალ, **29 ნოემბერს, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდება**) ორი დღის სიგრძეზე სულმოუთქმელად მეკითხა და ეს ბედნიერება, რაც მისი გადაკითხვისას მომანიჭეს პროფესიონალმა შემდგენლებმა და სახელმძღვანელოს გამოცემის იდეის ავტორებმა **მარინე ვეკუამ** და **ჟიულ რუემ** თქვენთვისაც შეძლებისდაგვარად გადმომეცა.

ჟურნალისტმა მთელი ცხოვრება უნდა ისწავლოს, რადგან თემა რომელიც მუდმივად საფიქრალია და ხშირად უიმედობის განცდას ბადებს, — დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკის ხარისხია, „ჟურნალისტიკა“ კი ამ უიმედობის განცდას გაგვიქარვებს.

მართლაც რომ, დროულია!

მამუკა ვაშაკიძე

◎ ინფორმაცია

ხელთუბანში იეღოველებს დაუპირისპირდნენ

გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში მოსახლეობის ერთი ნაწილი იეღოვას მიმდევრებს დაუპირისპირდა, რის გამოც პოლიციის გამოძახება გახდა საჭირო. დაპირისპირების მიზეზი სოფლის ცენტრში, მჭიდრო დასახლების ადგილას, იეღოვას მოწმეთა შეკრებებისთვის განკუთვნილი ნაგებობის მშენებლობა გახდა.

სოფლის მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად ხელმოწერებიც შეაგროვა და ხელისუფლებას მიმართა, თუმცა, მშენებლობა გრძელდება.

მართლმადიდებელი მოსახლეობის განცხადებით, ისინი თანასოფლელებს რელიგიური ნიშნით არ უპირისპირდებიან. მათი თქმით, აღნიშნული ადგილი მსგავსი ტიპის ხალხმრავალი შეკრებებისთვის მიზანშეუწონელია.

თავად იეღოვას მიმდევრები თანასოფლელების პროტესტს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და მშენებლობას აგრძელებენ.

ინტერპრესი

სანთელი

ნუნუ გამცემლიძის ხსოვნას!

ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ძვირფასო ნუნუ! შენი სული დღეს ტოვებს რუდუნებით აშენებულ ოჯახს, მეორმოცე დღეა ფიზიკური აღსასრულიდან.

ზედმეტია გულისამაჩუყებელი სიტყვებით შენი პიროვნების წარმოსახვა.

ტრადიციულ მედიკოსთა ოჯახში დაბადებული და აღზრდილი მესამე თაობის ექიმი იყავი, მრავალი ადამიანის ამქვეყნად მოსავლენად თითქმის 50 წელი იღვაწე.

53 წლის ცოლქმრული ცხოვრების მანძილზე იყავი ოჯახის ბურჯი და განუმეორებელი სიყვარულის მთესველი. 2 შვილი, 8 შვილიშვილი, 6 შვილთაშვილი დაუტოვე შთამომავლობას.

შევთხოვთ სამყაროს შემქმნელს, მარადიულ სასუფეველში ამყოფოს შენი სული, ვილოცებთ შენთვის, ჩენო დაუვიწყარო და საყვარელო ნუნუ.

მეუღლე გურამი, შვილები გოგი, კოკა
მგელაძეები, შვილიშვილები, შვილთაშვილები

◎ ინფორმაცია

სოციალურად დაუცველთათვის ფასდაკლებით მგზავრობა დღეში ოთხჯერ

სოციალურად დაუცველები თბილისის მიკროავტობუსებში 50%-იანი ფასდაკლებით დღის განმავლობაში მხოლოდ 4-ჯერ იმგზავრებენ, — ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელმა დავით ასანიძემ განუცხადა.

დავით ასანიძემ განცხადება გააკეთა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეღავათებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ 70 000-ზე დაბალი ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირები ისარგებლებენ 50%-იანი ფასდაკლებით.

ამასთან, სოციალურად დაუცველები დღის განმავლობაში ისარგებლებენ მხოლოდ 4-ჯერ, შემდეგ, მესუთე გავლაზე შეღავათი აღარ ექნებათ. კერძოდ, პირველი მგზავრობისას პირველი გადასახადი იქნება 40 თეთრი, დანარჩენი 40 თეთრი კი მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. მეორე გავლაზე, სოციალურად დაუცველი ასევე ისარგებლებს ფასდაკლებით და 65 თეთრის ნაცვლად დაფარავს 32 თეთრს და ასე იქნება შემდგომი მესამე და მეოთხე მგზავრობის შემთხვევაში.

დავით ასანიძემ ეს ლიმიტირებული შეღავათი იმით ახსნა, რომ სოციალურად დაუცველებისთვის მგზავრობაზე ფასდაკლება ადრეც არსებობდა და დაფიქსირდა შემთხვევები, რომ ერთი ბარათიდან დღის განმავლობაში 20-30 გავლა იყო აღრიცხული.

ასანიძემ ამასთან ასევე განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველებს მერია სპეციალურ ბარათებს დაურიგებს. ისინი ჩარიცხავენ გარკვეულ თანხას ბარათზე და ფასდაკლებით სამარშრუტო ტაქსებში იმგზავრებენ.

გვექნება „აფხაზური ენციკლოპედია“

„აფხაზური ენციკლოპედიის“ საინიციატივო ჯგუფს „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის„ ხელმძღვანელი ზურაბ შენგელია უხელმძღვანელებს. ზურაბ შენგელიას „აფხაზური ენციკლოპედიის“ საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელად არჩევის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აფხაზური ენისა და კულტურის კომისიისა და „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის“ ერთობლივ შეკრებაზე მიიღეს.

„აფხაზური ენციკლოპედიის„ საინიციატივო ჯგუფის წევრები არიან ლეილა ავიძბა, ნინო ბერძნიშვილი, თეიმურაზ გვანცელაძე, ვაჟა იმნაიშვილი, გუჩა კვარაცხელია, ესმა კოკოსკერია, ივანე ლეჟავა, გურამ ქუთელია, ასმათ შერვაშიძე, ნინო ჩიქოვანი და რუსუდან ჯანაშია.

ინტერპრესი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2014 წლის 20 იანვარს, 12 საათზე, მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფ. გლდანი (მამკოდა) შპს „ბიოსაწვავი საქართველოს“ ოფისში გაიმართება შპს „ბიოსაწვავი საქართველოს“ კუთვნილი ბიოდიზელის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის (გზშ) საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ბიოდიზელის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

მცხეთა, სოფ. გლდანი (მამკოდა), შპს „ბიოსაწვავი საქართველოს“ ოფისი.

ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის 162.

ტ. 5 99 190 330.

დოკუმენტაციის ელვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.moe.gov.ge, www.aarhus.ge.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს „ბიოსაწვავი საქართველოს“ ადმინისტრაცია

◎ სულიერება

28 ნოემბერიდან ქრისტეშობის მარხვა იწყება

27 ნოემბერს, ქრისტეს შობის მარხვის წინა დღეს გაიხსენა საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ მოციქული ფილიპე.

ცნობილია, რომ ფილიპე მოციქული მოწოდებისთანავე გაჰყვა მაცხოვარს. ის იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ ღვთის სიტყვას ქადაგებდა გალილეაში. მოციქულის სწავლებას თან ახლდა სასწაულები. მოციქულმა ფილიპემ იმოგზაურა საბერძნეთში, სირიაში, ლიბიაში... მას სწორად მიაჩნდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა არსი.

ქრისტეშობის მარხვის შესახებ ცნობები IV საუკუნიდან გვხვდება. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცნობებია დაფიქსირებული.

ფრიად საინტერესო ცნობებია დაცული X საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა, მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა ილია II ბრძანებს: „...ჩვენ უნდა მივიღოთ უფალი, უფლის რწმენა საოცარი, ჭეშმარიტად საოცარი

და თავისუფალი აქტია, ის არის მსგავსი ხელახალი დაბადებისა“.

გილოცავთ მარხვის დაწყებას!

გიული ლიპარტია

◎ ემრავლოს!

„პაპაი ოქროს“ გაუმარჯოს!

სიხარულს ვერ მალავს ჩვენი ძვირფასი კოლეგა, ქართული სპორტის ჭეშმარიტი ფოტომეტიანე **ალექსანდრე კოტორაშვილი** — დიდება უფალს, ნანატრ შვილიშვილს რომ მომასწროო.

მოდი და ნუ გაიხარებ — ვითომ თარსი 2013 წლის დასაწყისში „გეორგიევიჩს“ ჯერ 70-წლიანი იუბილე მივულოცეთ, შემდეგ ჭიდაობის ფედერაციის თავკაც ელდარ კურტანიძეს ვემადლიერებოდით, რატომღაც უმუშევრად დარჩენილ პროფესიონალს ღვაწლი რომ დაუფასა და ფალავანთა საძმოში არა მარტო დაასაქმა, არამედ ხელფასიც დაუნიშნა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოთახიც კი უფეშქაშა.

და აი, ბარაქიანი 2013 წლის ღირსეული გვირგვინი — ვაჟა კოტორაშვილისა და ეკა დუნდუას სიყვარულის ნაყოფი — უმცროსი ალექსანდრე კოტორაშვილი, რომელიც ამ დღეებში მოინათლა კიდეც.

სხვათა შორის, იგი მეათე თვის — ოქტომბრის ათ რიცხვში დაიბადა. სულ ათიანებში გაგერტყას, „პაპაი ოქროვ“!

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაყშინაურ-ი ვარსკვლავნაირ

„დააბრუნეთ ემზარ კვიციანი სამშობლოში“

— აცხადებს „საქართველოს პროფესორთა ლიგა“, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს მიმართავს, — ემზარ კვიციანისა და მის თანამებრძოლებს უდიდესი წვლილი მიუძღვით კოდორის ხეობის დაცვის საქმეში. თავიანთი წინაპარი ვაჟკაცი და პატრიოტი სვანებივით ისინი 15 წელი კბილებით იცავდნენ ამ ხეობას, სანამ სააკაშვილმა და მისმა აგენტებმა იგი რუსებს არ ჩააბარეს. პრეზიდენტმა საკაშვილმა შური იძია ემზარ კვიციანის ოჯახზე. მისი და ნორა კვიციანი ციხეში გამოკეტეს, დედმამიშვილებს წაართვეს ქონება, სახლ-კარი, ყოველნაირად დაამცირეს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დიდი ყურადღებით მოეკიდებით ჩვენს განცხადებას.

„ახალი თაობა“

ჯარის მეგობართა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე კახი კავსაძე გახდა

ჯარის მეგობართა საზოგადოების გამგეობის წევრები გუშინ თავდაცვის სამინისტროში შეიკრიბნენ და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა პირადი ხელწერით დაადასტურეს. ჯარის მეგობართა საზოგადოების წარმომადგენლები თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მიიღო. ღონისძიებას ესწრებოდნენ საზოგადოების ცნობილი სახეები, მათ შორის მამუკა ხაზარაძე, ლევან ვასაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნატო მურვანიძე, რატი ამაღლობელი... ამ საზოგადოებამ უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ ჯარისკაცი მიხვდეს, რომ საზოგადოებამ იცის, ვინ არის ჯარისკაცი, იცის მისი გულისტკივილი და რა სჭირდება მას.

„რეზონანსი“

„ნაციონალები“ უკრაინულ სცენარზე ოცნებობენ?

მოსკოვში მცხოვრები საქრთველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას აზრით, „ნაციონალებს“ ქვეყნის არევა უნდათ ევროინტეგრაციაზე უარის თქმის საბაბით. ამაზე ახალი ხელიუფლება უარს არ იტყვის. სამწუხაროდ, ქართველ ხალხს იმასაც არ უხსნიან, რას ნიშნავს პარაფირება. მოდით, განვმარტოთ და ვთქვათ, — ეს არის ვარჯიში ხელის მოწერაში. შეიძლება ხუთი წლის შემდეგ გადმოგვიგდონ ასოცირებული წევრობა, ხელი მოგვაწერინონ, ამ დროს ხუთი წლის მერე ვინ იქნება, სად იქნება და როგორ იქნება, ეგ არ ვიცით.

„ალია“

◎ ინფორმაცია

ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1978 წელს დაბადებული კობა კ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაკავებული თბილისში, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, საღამოს საათებში, საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა შეამჩნიეს, რომ კობა კ-ს ტანსაცმლიდან ცეცხლსასროლი იარაღი უჩანდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მისი პირადი ჩხრეკისას „ტე-ტე“-ს მოდელის არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მიხო კუპეში ქალთან ერთად მოხვდა.

— ვაი, როგორ მცივა! — წუწუნებს ქალი, — ხომ ვერ წახვიდოდით გამცილებელთან საბნის გამოსართმევად?

— ხომ არ აჯობებდა, რომ ეს ღამე გაგვეტარებინა როგორც ცოლ-ქმარს?

— საწინააღმდეგო არაფერი არ მაქვს, — ინაზება ქალი.

— მაშინ, შენი დედაც, წადი და ჩემთვისაც გამოართვი საბანი გამცილებელს.

* * *

— **მაპატიეთ,** მაგრამ ორიოდ თავისუფალ წუთს ხომ ვერ გამოძებნიდით ჩემთვის?

— კი გამოვძებნი, მაგრამ დამიბრუნებთ?

* * *

— **გაიღვიძე!** სასადილო შესვენებაა!

— უჩემოდ წადით, დღეს უსადილოდ ვმუშაობ.

* * *

— **პეტკა,** სამსახურის მერე სახლში ვერ წამიყვან?

— შენ ხომ საკუთარი მანქანა გაქვს?

— მანქანა კი, მაგრამ მართვის მოწმობა არა მაქვს, პატრულმა ჩამომართვა.

— რისთვის?

— ათი უწყვეტი ხაზი გადავკვეთე.

— ??? ეს როგორ?

— როგორ და, ძალიან უბრალოდ, ქვეითთა გადასასვლელი ზებრა ხაზები გადავკვეთე გარდი-გარდმო.

* * *

— **შენ** და ბიძაჩემს რატომ არა გყავთ ბავშვები? — ეკითხება პატარა მიხო დეიდამისს.

— იცი რა, შვილო, წეროს ჩვენთვის ჯერ კიდევ არ მოუყვანია შვილები.

— აა, — ეუბნება მიხო, — თუ ჯერ კიდევ გჯერათ წეროსი, მაშინ გასაგებია.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერუანსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24